გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

60 თეთრი

№129 (1155) 16 - 17 დეკემბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტები ქუჩის აქციებით იმუქრებიან

გაყიდდა თუ არა თვითმმართველობის არჩევნები და რატომ არ ინტერესდება რექტორი სტუდენტების პრობლემებით გვ. 8

პოლიტპატიმრების სკანდალი

როგორ იქცა ალეკო ელისაშვილი ახალ გივი თარგამაძედ და რატომ მალავს პარლამენტი პოლიტპატიმრების მეორე სიას

გვ. 3

უსაფრთხოა თუ არა „მოწმეობა“ საქართველოში



გვ. 7

ზურაბ ხარაზიშვილს დაიჭერენ?

რა მიზნით შევიდა პროკურატურა ცესკო-ში და რა ბრალდებას უყენებს უწყებას ყოფილი თავმჯდომარე

გვ. 5

სქემა, რომლითაც შეწყალების კომისიაში ფული კეთდებოდა გვ. 6

პატიმრის დღიური

ნაირა ალავერდაშვილი: „უნივერსიტეტი პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს ეკუთვნის“ გვ. 8

შოტლანდიელი რეჟისორის ქართული კვირეული გვ. 9

ბენ შეროკის წარმატებული „პიკადერო“, ბასკური ცხოვრება და თბილისური ვოიაჟი

„ვვარაუდობთ, რომ უახლოეს წლებში 200 000 მოქალაქეს განვკურნავთ“

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მომავალი წლისთვის ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი დაახლოებით 3.1 მილიარდი ლარი იქნება, რაც წინა წელთან შედარებით გაორმაგებულია.

როგორც პრემიერ-მინისტრმა სოლიდარობისა და ინოვაციური დაფინანსების პირველ საერთაშორისო ფორუმზე განაცხადა, სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს, რომ მოქალაქეებს უფასო ჯანდაცვა შესთავაზოს.

პრემიერმა C ჰეპატიტის ელიმინაციის წარმატებულ პროგრამაზე და ასევე სოლიდარობის ფონდის შესახებ ვრცლად ისაუბრა. მან აღნიშნულ პროგრამებში ჩართულ როგორც საჯარო მოხელეებს, ასევე საერთაშორისო პარტნიორებს მადლობა გადაუხადა: **„სულ რაღაც 3 წლის წინ ჯადაცვის სამინისტროს ბიუჯეტი იყო მილიარდ 800 მილიონი, მომავალ წელს კი ბიუჯეტი იქნება დაახლოებით 3.1 მილიარდი ლარი. თითქმის გავაორმაგეთ ჯანდაცვის ბიუჯეტი. წარმატებული და უნიკალურია C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა. დღეს საშუალება გვაქვს, ჩვენს მოქალაქეებს უფასოდ ვუმკურნალოთ. ჯამში ვვარაუდობთ, რომ 200 000 მოქალაქეს განვკურნავთ უახლოეს წლებში. მინდა, ამ პროგრამის მხარდაჭერისთვის მადლობა გადავუხადო ამერიკის შეერთებულ შტატებს. ბუნებრივია სახელმწიფო ყველაფერს ვერ დააფინანსებს სწორედ ამიტომ და იმისთვის, რომ კონკრეტული ნაბიჯი გადაგვედგა სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ, გადავწყვიტეთ, სოლიდარობის ფონდი დაგვეფუძნებინა. ვფიქრობ, ერთობლივად, ასეთი სოლიდარობით შეგვიძლია უმძიმესი სენით დაავადებული ბავშვების მკურნალობა და ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა. საჭიროა, უფრო გააქტიურება, მეტი ჩართულობა. არ დავიშურებთ ძალისხმევას, რომ ჩვენი კონტრიბუცია შევიტანოთ ისეთი დაავადებების აღმოსაფხვრელად, რომელიც განკურნებადია“.**

„პია“

საბურთალოს სასაფლაოსთან მომხდარი სროლის ფაქტზე საქმე ორი მუხლით აღიძრა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საბურთალოს სასაფლაოსთან მომხდარი სროლის ფაქტზე, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 118-ე მუხლებით აღიძრა.

236-ე მუხლი იარაღის უკანონო მოხმარებას, 118-ე კი, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

საბურთალოს სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სროლის შედეგად 2 ადამიანი დაჭრეს. ორივე საავადმყოფოშია გადაყვანილი.

„პია“

ვიზალიბერალიზაციის დასკვნის გამოქვეყნება რამდენიმე დღით გადაიდო

ბელგიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ნატალია საბანაძის ინფორმაციით, ოფიციალურად დაუდასტურეს, რომ 15 დეკემბერს ევროკომისიის დასკვნა არ გამოქვეყნდება. მას ასევე ოფიციალურად შეატყობინეს, რომ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, ევროკომისიის დასკვნის გამოქვეყნების გადადება საქართველოს არ უკავშირდება: **„შემატყობინეს ოფიციალურად, რომ რამდენიმე დღით გადაიდო, მაგრამ ეს საქართველოსთან კავშირში არ არის. ჩვენი ანგარიში, როგორც ვიცი, იქნება საბოლოოდ პოზიტიური“.**

15 დეკემბერს საქართველოსთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, ევროკომისიის დასკვნა უნდა გამოქვეყნებულიყო.

ცნობილი ხდება, რომ საქართველოში ევროკავშირის ელჩმა იანოშ ჰერმანმა, 16 დეკემბერს დაგეგმილი პრესკონფერენცია, რომელიც ვიზალიბერალიზაციის თემასა და ევროკომისიის დასკვნაზე უნდა ჩატარებულიყო, გადადო.

ევროკომისარ ფედერიკა მოგერინის განცხადებით ევროკავშირი ძალისხმევას არ დაიშურებს, რათა საქართველოსა და უკრაინის ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების დასკვნა დეკემბრის ბოლომდე გამოვიდეს: **„ევროკავშირი ყველა ღონეს იხმარს, რომ დასკვნა დეკემბრის ბოლომდე გამოქვეყნდეს. სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციაზე დისკუსიისას შევთანხმდით, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ. ამ გადაწყვეტილებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მოქალაქეებისთვის. სამუშაო, რომელსაც ევროკომისია წევრ ქვეყნებთან ანარმოებს, გრძელდება“.**

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ევროკომისიის ანგარიშის გამოქვეყნების გადავადება მხოლოდ ტექნიკურ დეტალებს უკავშირდება და არა ქვეყანას. პრემიერ-მინისტრი საზოგადოებას სთხოვს, დაელოდონ ევროკომისიის საბოლოო ანგარიშს, რომელიც უახლოეს დღეებში გამოქვეყნდება: **„სატელეფონო საუბრები მქონდა ევროკავშირში. ჩვენთან მიმართებაში არავითარი პრობლემა არ არსებობს. საუბარია რაღაც ტექნიკურ დეტალებზე, რომელიც ჩვენ ქვეყანას არ ეხება. ასე რომ, გთხოვთ, დაველოდოთ ევროკომისიის საბოლოო ანგარიშის გამოქვეყნებას, რომელიც უახლოეს დღეებში მოხდება“.**

„პია“

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ბურბუშელას მწარმოებელ კომპანიას საწარმოო პროცესი შეუჩერა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, ბურბუშელაში პიროტექნიკის აღმოჩენასთან დაკავშირებით, ფაქტის შესწავლა დაუყოვნებლივ დაიწყო.

სააგენტოს ინსპექტორებმა ბურბუშელას მწარმოებელ შპს „დავლათში“ არაგეგმური ინსპექტირება განახორციელეს. სურსათში დადასტურდა ფიზიკური საფრთხის შემცველი პიროტექნიკის არსებობა, გამოვლინდა ასევე სხვა კრიტიკული შეუსაბამობები, რის გამოც, შპს „დავლათს“ შეუჩერდა საწარმოო პროცესი, ბიზნესოპერატორი კი, 1000 ლარით დაჯარიმდა. მას დაევალა პროდუქციის ბაზრიდან გამოთხოვა, რასაც ზედამხედველობას სურსათის ეროვნული სააგენტო გაუწევს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, სააგენტო აგრძელებს ინსპექტირებას მთელი ქვეყნის მასშტაბით და მიმართავს ბიზნესოპერატორებს, არ განათავსონ სურსათთან ერთად ასაფეთქებელი, მომწამლავი და სხვა სახის ნივთიერებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები და პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც მწარმოებელს, ასევე, რეალიზატორს.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს მოსახლეობას, მსგავსი ფაქტების აღმოჩენისას დაუყოვნებლივ დარეკონ სააგენტოს ცხელ ხაზზე: 291 91 68.

„პია“

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა სააკაშვილს სახეში წყალი შეასხა

უკრაინის უმაღლეს რადაში, რეფორმების განხილვის დროს, უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრ არსენ ავაკოვსა და ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს შორის დაპირისპირება მოხდა.

არსენ ავაკოვის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის გაღიზიანების მიზეზი მინისტრის მიერ გუბერნატორისთვის დასმული კითხვა გახდა. დაპირისპირების შესახებ ინფორმაციას თავად უკრაინის შს მინისტრი ავრცელებს: **„ჩემ კითხვაზე, რატომ ჰქონდა სააკაშვილს ურთიერთობა რუს ოლიგარქთან და როგორ უკავშირდება ეს ოდესის პორტთან არსებული ქარხნის პრივატიზაციას, მიხეილ სააკაშვილმა კონტროლი დაკარგა საკუთარ თავზე და ისტერიკაში ჩავარდა. დამიწყო ყვირილი, რომ არავის აქვს უფლება ასე ელაპარაკოს მიხეილ სააკაშვილს, შენ კორუმპირებული მინისტრი ხარ, ხოლო მე პატიოსანი კაცი. გადავიდა პირდაპირ შეურაცხყოფაზე. მე თავი შევიკავე, რომ მისთვის არ დამერტყა და უბრალოდ წყალი შევასხი სახეში. დიდი ხანია არ მინახავს ასეთი შეშლილი პოპულისტი ადამიანი“.**

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი არავის არაფრის თქმის საშუალებას არ აძლევდა, მათ შორის არც პრეზიდენტს: **„სააკაშვილი არის მატყუარა, რომელიც პასუხს არაფერზე აგებს. საკმარისია არტისტები და მასხარები. საჭიროა მუშაობა და არა ტრაბახი. უხერხული კითხვები ისტერიკას იწვევს? საკმარისია. არ ვაპირებ, ნაძირალას უზრდელობა ავიტანო, რომელიც ხმამაღალ მიზეზს ეძებს გადადგომისთვის. მან ჩააგდო მუშაობა საკუთარ ადგილას. არ ვაპირებ ავიტანო თავხედი, რომელიც ჩემ ქვეყანას ატყუებს ლამაზი პოზით, რომ ყველა ცუდია და მხოლოდ ის არის კარგი. კორუფციონერები უნდა დავიჭიროთ და არა თვეობით გავუბათ ლაპარაკი და არ წარვადგინოთ ფაქტები. თუ საყვარელიძე არ არის დაკავებული ამ ქარხნით? რა შუაშია აქ სააკაშვილის საუბრები ურალხიმთან? ქარხანა ღიად უნდა გაიყიდოს დასავლურ სახელოვან კომპანიაზე და არა ოფშორზე რუს ოლიგარქზე, რომელთანაც ლაპარაკობენ ჩინოვნიკები, რომლებიც ხმამაღალ ფრაზებს არიან ამოფარებულები. საჭირო იყო სააკაშვილისთვის პასუხის გაცემა, მაგრამ მან აიწყვიტა. უწყინარმა კითხვამ ისტერიკა და შეურაცხყოფა გამოიწვია. ქურდს ქუდი ეწვის?“.**

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრ არსენ ავაკოვს ოდესის ოლქის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი გამოეხმაურა. მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის ადმინისტრაციას დაპირისპირების ამსახველი სრული ვიდეომასალის გამოქვეყნებას სთხოვს: **„პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურისგან კატეგორიულად მოვითხოვ სრული ვიდეომასალის გამოქვეყნებას, რომელიც უკრაინის პრემიერისა და შინაგან საქმეთა მინისტრის უღირს და პროვოკაციულ საქციელს ასახავს. ჩაწერას 3 კამერა ახორციელებდა და უკრაინელ ხალხს უფლება აქვს, ნახოს და გაიგოს, ვინ მართავს მათ. მე პასუხს ვაგებ ჩემს ნათქვამ თითოეულ სიტყვაზე. დადგა დრო, სუბიექტებმა, ვინც ქვეყანა გაკოტრებამდე მიიყვანა, პასუხი აგონ საკუთარ ნათქვამსა და საქციელზე“.**

„პია“

იაპონელი ჟურნალისტები საქართველოს ტურისტულ მიმართულებებს ეცნობიან

პოპულარული გამომცემლობის Ozora Publishing-ის რედაქტორი და ფოტოგრაფი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით ეწვივნენ.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, პრესტურის ფარგლებში მედიის წარმომადგენლებმა თბილისის ისტორიული უბნები და მცხეთა დაათვალიერეს, მოინახულეს ყაზბეგი და კახეთის სხვადასხვა ტურისტული ადგილები.

იაპონელი ჟურნალისტები 2016 წლის იანვრის ნომერში ღვინის ტურიზმის და ზოგადად საქართველოს ღირსშესანიშნაობების შესახებ ვრცელ სტატიებს მოამზადებენ. პრესტურის მიზანია იაპონურ ბაზარზე საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია. სტატისტიკური მონაცემებით, 2015 წლის 11 თვეში იაპონიიდან საქართველოს 5387 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 33%-ით მეტია.

„პია“

როგორ იქცა ალეკო ელისაშვილი ახალ გივი თარგამაძედ და რატომ მალავს პარლამენტი პოლიტპატიმრების მეორე სიას

ნინო კომახიძე
599-95-33-16

2012 წლის 5 დეკემბრიდან საქართველოს 190-ზე მეტი პოლიტპატიმარი და 25 პოლიტდევნილი ჰყავს! „ოცნების“ პარლამენტმა „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა თაობაზე“ დადგენილება ზუსტად 3 წლის წინ, ხმაურიან სხდომაზე მიიღო. იყო ყვირილი და გარჩევები, კაკაბაძის ცრემლები, თარგამაძის მუქარა, მაგრამ აქტი შედგა და სულ რამდენიმე თვეში, ყველამ ყველაფერი დაივიწყა. მერე, ე.წ. პოლიტპატიმრების სკანდალი შიგადაშიგ მაშინ ტივტივდებოდა ხოლმე, როცა რომელიმე სტატუსმინიჭებულ პირს ციხეში შეაბრუნებდნენ ან უეცრად, აღმოვაჩენდით, რომ მკვლელი ან ნარკომოვაჭრე იყო და არა აქტივისტი. 2012 წელსაც, როცა საქმე ამ სიებს ეხებოდა და მანამდეც, როცა შეწყალების კომისიაში „ვანოს სიები“, „მიშას სიები“, „პატრიარქის სიები“ და ა.შ. მიდიოდა, აუცილებლად ჩნდებოდნენ პარტიები, ან ლიდერები და გაჰყვიროდნენ, რომ სია გაყიდულია, რომ პატიმრებს კონკრეტული გავლენიანი პოლიტიკოსები იწყალებენ, რომ მათი ადვოკატები საქმეების გაპოლიტიკურებით და სხვადასხვა ამნისტიაში მოხვედრით დიდ ფულს აკეთებდნენ. ამიტომ სრულიად გაუგებარია, დღეს რა „გაუგონარ“ დანაშაულზე დაიწყო სკანდალი და რატომ მოიცვა სრულიად ერი გაოგნებამ საკრებულოს დეპუტატის, შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარის, ყოფილი ჟურნალისტის, ალექსანდრე ელისაშვილის განცხადებების გამო, როცა ამ თემაზე უფრო მწვავედ, ოპოზიციის ლიდერები ზუსტად 3 წლის წინ და სხვათა შორის, „ცხელ კვალზე“ საუბრობდნენ.

ერთ-ერთი მათგანი ნაციონალი გივი თარგამაძე იყო, რომელმაც აქტის დამტკიცების დღეს „ვერსიას“ ექსკლუზიური და სკანდალური ინტერვიუ მისცა, 2012 წლის 6 დეკემბერს. სწორედ ის იყო პირველი ადამიანი, ვინც ღიად განაცხადა, რომ ნაციონალები „ოცნებასთან“ მუშაობდნენ და ცდილობდნენ, სიიდან „განგსტერები“ თუ „ნარკობარონები“ ამოეღოთ. ამ მუშაობას შეეწირა მაშინ „კოჭოია“, ირაკლი ოქრუაშვილი, ლევან მამალაძე, რომლებმაც ე.წ. პირველი სიიდან „მეორეში“ გადაინაცვლეს და ამის შესახებ საუბარი დღეს აღარც „ოცნებას“ ეპიტნავება. მაშინ გივი თარგამაძე ნანა კაკაბაძესა და ეკა ბესელიას პირდაპირ ხელს ადებდა და ამბობდა, ამ სიების შედგენა-ლობირებაში ფული აქვთ აღებულიო. მეტიც, ამბობდა, რომ პროკურატურასაც თავისი ინტერესები ჰქონდა, სადაც მაშინ არჩილ კბილაშვილს ლაშა ნაცვლიშვილი ჩაუსვეს უწყებაში და სწორედ ნაცვლიშვილის გავლით შევიდა ეს სიები პარლამენტში. **„ოცნებასთან“ ხალხის სიიდან ამოღებაზე საუბარი, რა თქმა უნდა, მიდიოდა. ეგ სიები უნდა დახიო და გადაყარო! ვინ დააწესა, რომ ეკა ბესელია და ნანა კაკაბაძე, რომელსაც რაღაც „ენჯეო“ აქვს, რაღაც სტატუსებს ადგენენ?! ამათ ვინ ეკითხება ან რომელი კანონის მიხედვით მოხდა ეს ყველაფერი? რატომ არ იყვნენ ამ პროცესში „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“? ჩახედეთ სიაში მეშვიდე ნომერს – ზვიად ბერაძე არის ადამიანი, რომელიც კაცისკვლაზე წავიდა, უბრალოდ, ის კაცი, შემთხვევით, ცოცხალი გადარჩა. როგორც ნანა კაკაბაძემ განაცხადა, მისი ამ სიაში შეყვანის ერთადერთი საფუძველი ისაა, რომ ჩემი ძმის მეგობარია და ეს საკმარისიაო! აქ, ამ სიაში ისეთი გვარები წერია, რომლებიც მე, უბრალოდ, არ ვიცი, ვინ არიან! ახლა ავდგები, ასეთივე სიას გავაკეთებ, ყველას მივაწერ, რომ მათ ნანა კაკაბაძე ფულს სძალავდა და შევიტან ამ სიას პარლამენტში. შევარდნაძის დროს ხომ მოაწყო ბუნტი კობა ოთანაძემ, ჩვენს დროსაც მოაწყო, ახლა ამათ დროსაც უნდა მოაწყოს და ამიტომ უშვებენ? ეს პირდაპირ ვალერი ხაბურძანიას გზის გაგრძელება იყო, მისი მოადგილე კი ლაშა ნაცვლიშვილია, რომელიც ახლა მთავარი პროკურორის პირველი მოადგილეა და გამოუშვებს ოთანაძეს! „გრეჩიხას“ პარტიის სიაში ერთი კონკრეტული კაცია, ვისზე ლაპარაკითაც ტვინი შეჭამეს. ეს კაცი „ჩაწოლილი“ ნარკომანია, „პეტუხას“ ეძახიან — მერაბ მაისურაძე ჰქვია. არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ ეგ „გრეჩიხათია“ მაგ სიაში. ჩემი აზრით, პოლიტიკა აქ არაფერ შუაშია. თავშია ფული, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, იღებდა ნანა კაკაბაძე და ვერ ვამტკიცებ, მაგრამ ალბათ იღებდა ეკა ბესელიაც. რაც შეეხება გედევან ფოფხაძის თქმით შესანიშნავ ადამიანს, იგორ გიორგაძეს, ვპირდები, რომ როგორც კი საქართველოში შემოვა, მის ფეხქვეშ მიწა დაიწვება“.** ეს იმ სკანდალური განცხადებების ნაწილია, რომელიც გივი თარგამაძემ მაშინ „ვერსიასთან“ გააკეთა. მათი მოხმობა იმისთვის კი არ დაგვჭირდა, რომ ნაციონალები პოლიტიკური მოტივით ხალხს არ აწამებდნენ, ან კარგები არიან, არამედ იმისთვის, რომ ერთი შეუსაბამობა ავხსნათ — როცა ამ სიების მიღების დროს, ჯერ კიდევ 2012 წელს, საპარლამენტო ოპოზიციის დეპუტატი პარლამენტში ღიად და საჯაროდ ამბობდა, ამ სიებში ფულია ჩაყრილი, პოლიტიკოსები დამნაშავეებს მფარველობენო და ა.შ. რატომ არ დაინტერესდა არცერთი საგამოძიებო ორგანო, მათ შორის, თავად ბრალდებული პროკურატურა გამოძიების დაწყებით? რატომ ჩაიფარცხა კბილაშვილი-ნაცვლიშვილის სკანდალი, როგორც დღეს დაიკითხა ელისაშვილი და ნახევარი თბილისი, მაშინ რატომ არ დაიკითხა გივი თარგამაძე და ნახევარი ნაციონალური მოძრაობა? ბრალდების მთავარი ადრესატები 2012 წელს კი არა, დღეს რატომ გახდნენ მანანა კობახიძე, ეკა ბესელია და სხვები ალეკო ელისაშვილის გამო, რომელიც 2013 წელს შეწყალების კომისიაში იყო, 2014 წელს კომისიიდან წავიდა და საკრებულოს წევრი გახდა და 2015 წელს ალაპარაკდა „მესიჯებზე“, რომელსაც დეპუტატები უგზავნიდნენ. და ეს ცალსახად პოლიტიკური პროცესი არ არის, რომელშიც, უბრალოდ, სპიკერი შეიცვალა და ალეკო ელისაშვილი გივი თარგამაძედ იქცა? მთავარი კითხვაც, ალბათ, სწორედ ეს უნდა იყოს — რა პოლიტიკურ მიზანს ემსახურება არჩევნებამდე თვეებით ადრე ამ თემის აგორება და რეალურად, ვინ ვის მოშორებას აპირებს წინასაარჩევნოდ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც „ვერსიის“ არქივიც ინახავს და დაინტერესებულ საზოგადოებასაც დღემდე ახსოვს — პარლამენტი პირველი სიის შემდეგ მეორე სიაზეც ალაპარაკდა, მაგრამ მოგვიანებით, ე.წ. მეორე სია დაიმალა და დეპუტატებმა განაცხადეს, ციხის კარს ასე აღარავის გავუღებთო. დღეს დეპუტატების ერთი ნაწილი ამ სიის არსებობას საერთოდ უარყოფს, ჩვენ კი 109-კაციანი შემადგენლობა 2013 წლის თებერვალში ექსკლუზიურად გამოვაქვეყნეთ. ამ მეორე სიაში ის ხალხი მოხვდა, ვინც პირველი ამნისტიისთვის განაცხადის გაკეთება, საბუთების შეგროვება ან კიდევ სხვა რესურსის მობილიზება ვერ მოასწრო. „ვერსია“ მაშინაც გთავაზობდათ და ახლაც იმეორებს იმ ადამიანების სრულ ჩამონათვალს, ვინც თავს პოლიტპატიმრად მიიჩნევდა და ვის გვარებზეც პარლამენტში დიდი გაწევ-გამოწევა მიდიოდა.

1. სვანიძე დავით 2. გორდელაძე ბებურ 3. მამალაძე ლევან 4. მამალაძე რამაზ 5. ავალიანი ზურაბ 6. კონცელიძე გურამ 7. ბელთაძე ალეკო 8. სიხარულიძე დავით 9. ქორიძე ირაკლი 10. ღვამბერია ბესიკ 11. ნიკოლაიშვილი მამუკა 12. მუმლაძე ნიკოლოზ 13. ჯინჯოლავა გულნარა 14. ცხადაია თორნიკე 15. ქანთარია თამაზ 16. ალანია გიორგი 17. გორგაძე აკაკი 18. კოტიაშვილი რევაზი 19. ორველაშვილი გიორგი 20. ჩაჩიბაია ჯიმშერ 21. სილაგაძე ალექსანდრე 22. კერესელიძე ირაკლი 23. შირინიანი გურგენ 24. ქიძინიძე ლევან 25. ძასოხოვი გოჩა. 26. გოგია ომარ 27. მარტინენკო გიორგი 28. დუმბაძე ლევან 29. ჭიჭინაძე ლაშა 30. მიქელაძე კახა 31. ბობოხიძე გიორგი 32. ჯიბუტი მერაბ. 33. მღებრიშვილი ჯონი 34. გაბელია ვალერ 35. ვაშაკიძე გიორგი 36. მამნიაშვილი შოთა 37. კერესელიძე გიორგი 38. ქარჩავა მერაბ 39. შავაძე ოთარ 40. ჯავახიშვილი ვასილ 41. ალავიძე გია 42. ნემსიწვერიძე ვალერიან 43. მარგიანი ბესიკ 44. ბლუაშვილი პაატა 45. აბულაძე ნოდარ 46. კურცხალაძე ჯიმშერ 47. ორმოცაძე დალი 48. ჩხარტიშვილი ივანე 49. გამცემლიძე მალხაზ 50. მარჩუკი იური 51. ქარელი კახაბერ 52. გასვიანი თორნიკე 53. ქანდაურაშვილი პაატა. 54. ბერძული ზურაბ 55. გოგიტიძე სერგო 56. ბოლქვაძე როსტომ 57. ნანავა ვახტანგი 58. ბენიძე არჩილ 59. ქიტიაშვილი გია 60. მიროტაძე ლევან 61. დუმბაძე გივი 62. გორგოძე გელა 63. ხარბედია გოჩა 64. გვარიშვილი ჯემალ 65. ხორგუანი ზვიად 66. სახვაძე რევაზ 67. ზურაბაშვილი გივი 68. ლორთქიფანიძე ნარგიზ 69. პატარქალიშვილი ვასილ 70. გვარიძიშვილი გიორგი 71. ჭანტურია პაატა 72. ჯაყელი სერგო 73. ელიაშვილი იური 74. ლევან გოლაშვილი. 75. ჩიხლაძე მალხაზ 76. დუაძე ჯემალ 77. გადელია ზაზა 78. საღირაშვილი ვაჟა 79. კალანდია თენგიზ 80. კალაძე რობიზონ 81. ვიალოვი მიხეილ 82. შენგელია თეიმურაზ 83. კელენჯერიძე გოჩა 84. შავიშვილი ვაჟა 85. გვეტაძე ნანა 86. ბარბაქაძე სულეიმან 87. კვიციანი ემზარ 88. შამათავა ჯემალ 89. ხახუტაშვილი ჯემალ 90. მარტიაშვილი დავით 91. გოცირიძე ალექსანდრე 92. მარტინი დავით 93. ფარტენაძე მერაბ 94. ჯანდიერი იოსებ 95. ჩოგოვაძე ლევან 96. ვასაძე დავით 97. ჩადუნელი ენვერ 98. ცქიტიშვილი ნიკოლოზ 99. ქაშიაშვილი მამუკა 100. ბობოხიძე შალვა 101. მანანა გვენცაძე 102. აბაშიძე ირაკლი. 103. ორჰან აქსუ 105. სანაძე ვლადიმერ 106. ძაძუა მანუჩარ 107. დევნოზაშვილი საბა 108. დოკვაძე ირაკლი 109. მახარაძე ალეკო.

ამ სიაში მოხვდნენ ლევან მამალაძე, რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენი გოჩა ძასოხოვი, გამსახურდიას თანამებრძოლი გოჩა კელენჯერიძე, ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი, კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანი, გულუას პარტიის ერთ-ერთი წევრი ვალერი გაბელია! იმის გამო, რომ პარლამენტის ანუ არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ, სასამართლოს გარეშე, ციხის კარის გაღება და 200 პატიმრის გამოშვება საერთაშორისო საზოგადოებისა და ძველი ხელისუფლების მიერ მძიმედ შეფასდა, კომიტეტმა „იმავე მდინარეში მეორედ შესვლა“ გადაიფიქრა და გედევან ფოფხაძემ, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ მაშინ ასეთი განმარტება გაგვიკეთა: **„პოლიტპატიმრების ახალი სია აღარ გაკეთდება — ეს ერთხელ უკვე იყო და მეორედ იმავე მდინარეში აღარ შევალთ! პარლამენტმა ერთხელ უკვე გაათავისუფლა ის ხალხი, ვინც პოლიტიკურ პატიმრად ჩათვალა. ვისზეც კითხვის ნიშანი დარჩა, ყველა შემთხვევას პერსონალურად განვიხილავთ, მაგრამ ციხიდან მათი გამოშვება, პარლამენტის დადგენილებით, აღარ მოხდება. ეს ტრადიციად არ უნდა იქცეს. გავამზადებთ რეკომენდაციებს სასამართლოსა და პროკურატურისთვის, მაგრამ არ შეიძლება, პარლამენტის აქტები ციხიდან გამოშვების მექანიზმად დაკანონდეს... ჯერ კომიტეტში ამ განცხადებების განხილვის სამართლებრივი ფორმა არაა ჩამოყალიბებული და გაწერილი. გადაწყვეტილების ზუსტი ფორმაც არ ვიცით, მაგრამ ვიცი ის, რომ პოლიტპატიმრების ახალი სია აღარ იქნება! სავარაუდოდ, შეჯერებულ გადაწყვეტილებას კომიტეტიც დაეთანხმება და პიროვნებებს ვცნობთ რაღაცად, მაგრამ რად, არ ვიცი. ალბათ, უფრო უკანონო პატიმრად, მაგრამ არა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად!“** ადამიანის უფლებათა კომიტეტში ახალი, ალტერნატიული მექანიზმის შესახებაც გვესაუბრნენ: **„ამ ხალხის პირდაპირ ციხიდან გათავისუფლება ჩვენი ერთჯერადი გადაწყვეტილება იყო. დღეს რა განცხადებებიცაა განსახილველად შემოსული, მათი ავტორების 99% არაპატიმრობაში მყოფი პირია, უმეტესობა ძებნილია! ამიტომ მომზადდა საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც უახლოეს დღეებში შემოვა პარლამენტში. ეს არის ცვლილება, განაჩენის გადახედვის ახალი მექანიზმის შესახებ. მექანიზმი ორდონიანი იქნება, თუმცა ჯერ იგი პარლამენტში არ შემოსულა, ამიტომ დეტალებში ვერ შევდივარ. პირველი დონე იქნება ე.წ. ფილტრი, სადაც განიხილება ამ საჩივრების, ზოგადად, დასაშვებობა. ყველა საქმეზე ინდივიდუალური დასკვნა გვექნება და მხოლოდ ამის მერე გადავწყვეტთ, ესა თუ ის საქმე გამოძიებაში გავუშვათ თუ სასამართლოში. ამის მერე, კომისიის პირველი დონის შემადგენლობა საჩივრებს განსახილველად გადაგზავნის და შეიქმნება სპეციალური ჯგუფი, რომელსაც პარლამენტი სასამართლოში გაუშვებს. რეალურად, ამ გვარებზე კომისია კი არა, მთელი კომიტეტი მუშაობს. კომიტეტთან იმუშავებს მუდმივმოქმედ უფლებადამცველთა საბჭო, რომელსაც ხელახლა ავირჩევთ. მასთან კონსულტაციებიც გვექნება, მაგრამ გადაწყვეტილებებს კომიტეტი და შემდეგ, პარლამენტი მიიღებს“.** ჰოდა, სინამდვილეში, არც ორდონიანი მექანიზმი შექმნილა, ეს მეორე სიაც გაქრა, არც საქმეების საჯარო ინდივიდუალური განხილვა მოეწყო და არც განაჩენები შეიცვალა — 2015 წლის გაზაფხულზე შეიქმნა პროკურატურაში გაურკვეველი დეპარტამენტი, რომელსაც აქამდე არაფერი გამოუძიებია.

თურქული გამბიტი

ლევან სეფიასკვერაძე

რუსეთსა და თურქეთს შორის გამწვავებული ურთიერთობების პარალელურად, საქართველოში გაჩნდა, ჩემი აზრით, სრულიად ალოგიკური კითხვა: რომელი ავირჩიოთ, რუსეთი თუ თურქეთი? ეს კითხვა ალოგიკურია თუნდაც იმიტომ, რომ წარმოუდგენელია, გააკეთო არჩევანი მაშინ, როდესაც არავინ არაფერს გეკითხება და რომც გეკითხებოდეს, იმასაც ვერ ვხვდები, რატომ ფიგურირებს ამ „არჩევანში“ რუსეთი. ქვეყანა, რომელთანაც საქართველო, ამ წუთშიც კი, ოფიციალურად დაპირისპირებულ მდგომარეობაში იმყოფება.

ომი, რა თქმა უნდა, დიდი უბედურებაა და არავის გვინდა, ეს მოხდეს. მაგრამ, თუკი ომი დაიწყო, ძალიან ცდებიან ჩვენი რუსეთუმე თანამოქალაქეები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ თურქეთი ადვილად დასამარცხებელი ბითური ვინმეა. თუ არ გჯერათ, შეგიძლიათ მოიძიოთ ელემენტარული სტატისტიკა, გაეცნოთ დღევანდელ რეალობას და ადვილად მიხვდებით რისი თქმაც მინდა.

თურქეთის საგარეო ურთიერთობების განმსაზღვრელი ასპექტია, ამერიკის შეერთებულ შტატებთან პარტნიორობა. ნატო-ს წევრად თურქეთის მიღების შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატები ამ ქვეყანას ყოველთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პარტნიორად განიხილავდა და საბჭოთა კავშირის არსებობის დროს სწორედ თურქეთს ეკისრა უმთავრესი როლი. ამერიკისთვის თურქეთთან ურთიერთობები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც მნიშვნელოვანი იყო. თურქეთი შემდეგ წლებში ახლო-აღმოსავლეთის, ბალკანეთისა და კავკასიის კრიზისების დროს გახდა ნატო-სა და აშშ-ს მნიშვნელოვანი დასაყრდენი.

სწორედ აშშ-სთან მჭიდრო პარტნიორობა გახდა წინაპირობა, რომ თურქეთის ეკონომიკის ზრდა კრიზისების პერიოდებშიც კი არ შეჩერებულა და დღეს თურქეთი მრავალმილიონიანი ენერგეტიკული და ეკონომიკური პროექტების ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა. მათ შორის აღსანიშნავია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი, რომელსაც თავის დროზე „საუკუნის პროექტიც“ კი ეწოდა.

ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, თურქეთის შეიარაღებული ძალები სიდიდით მეორეა ნატო-ს წევრ ქვეყნებს შორის. თურქეთის შეიარაღებული ძალები შედგება არმიის, საზღვაო და საჰაერო ძალების, სანაპირო დაცვისა და შინაგანი ძალების ნაწილებისგან.

თურქეთის არმიაში, ამჟამად, სხვადასხვა ფორმით, მილიონზე მეტი ადამიანი მსახურობს. თურქეთი, 2003 წლიდან, ევროკავშირის ეგიდით დაგეგმილ სამხედრო ტიპის სხვადასხვა აქტივობაშიც მონაწილეობს.

ადგილობრივი კანონმდებლობით, თურქეთის ყველა მოქალაქე მამაკაცი ვალდებულია, სწავლების 15-თვიანი კურსები გაიაროს. სახელმწიფო არ აღიარებს სამხედრო სავალდებულო სამსახურის ალტერნატივას და შესაბამისად, ვისაც კი ჯარში სამსახური ევალება, განურჩევლად მდგომარეობისა, მოვალეა, ჯარში განსაზღვრულ ვადებში იმსახუროს. ჯარში სამსახურის ალტერნატივად ფულადი კომპენსაციის გადახდა, თურქეთში არ განიხილება.

თურქეთის ტერიტორიაზე განთავსებულია 40-ზე მეტი სამხედრო ბაზა, სადაც, თურქი ჯარისკაცების გარდა, ნატო-ს ეგიდით მსახურობენ: ამერიკელი, ნიდერლანდელი, ბელგიელი, იტალიელი და გერმანელი სამხედრო მოსამსახურეებიც. თურქეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ „ცივი ომის“ პერიოდიდან განთავსებული ბირთვული იარაღის ქობინებიც, რომელთა კონტროლი, ნატო-ს სამხედრო შტაბის ორგანიზებით ხდება.

აბა, მიდი და, ეომე ასეთ ქვეყანას... რუსეთს ღრენა და კბენა მხოლოდ საქართველოსთანა ბეჩავ ქვეყნებთან გამოსდის, თორემ თურქეთს რასაც ავნებს, აგერ ვნახავთ.

„ის ჯარისკაცი არ ვარ, მედალი წაგებულ ომში ავიღო“

რატომ თქვა უარი პრეზიდენტის მიერ მინიჭებული ღირსების ორდენზე, ვის უწოდებს დაბადებით აგენტს და რატომ აგონებს ბურჭულაძე კინტოს ნოდარ ნათაძეს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

7 დეკემბერს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისა და საქართველოს პირველი მრავალპარტიული პარლამენტის შექმნაში გაწეული ღვაწლისთვის მზექალა შანიძე, გოგი ხოშტარია და ნოდარ ნათაძე დააჯილდოვა. „სახალხო ფრონტის“ ლიდერმა, ექსდეპუტატმა ნოდარ ნათაძემ პრეზიდენტს ორდენი იმავე დღეს დაუბრუნა და უთხრა — „ჟანრობრივად არ მეკუთვნის“. ეს არც დემარში იყო პრეზიდენტის წინააღმდეგ და არც ნოდარ მგალობლიშვილის საქციელის გამეორება, რომელმაც, თავის დროზე, ღირსების ორდენი პრეზიდენტ შევარდნაძეს დაუბრუნა. ნოდარ ნათაძეს თავის არგუმენტები და ბევრი პრეტენზია აქვს მოქმედი და ყოფილი საპარლამენტო შემადგენლობის მიმართ, რასაც იგი „ვერსიასაც“ უმხელს და საკმაოდ კრიტიკულ შეფასებებსაც აკეთებს.

— ბატონო ნოდარ, რატომ დაუბრუნეთ პრეზიდენტს ღირსების ორდენი და რას ნიშნავს თქვენი შეფასება — ჟანრობრივად არ მეკუთვნოდაო?

— ორდენი მომცეს ნაყოფიერი მუშაობისთვის პარლამენტში. უნაყოფოდ არ მიმუშავია, 4 მნიშვნელოვან აქტში მაქვს მონაწილეობა მიღებული: მივაღწიეთ დადგენილების მიღებას, რომ საქართველო რუსეთის მიერ ანექსირებული ქვეყანაა. გავაუქმეთ ყოვლად უკანონო „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსი, ვმონაწილეობდი, გამსახურდიას პარლამენტში, რეფერენდუმის დანიშვნასა და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღებაში. საპარლამენტო შრომა ერთი და ორი თაობის საქმე კი არა, გუნდური მუშაობაა, რაც წლები გრძელდება, ამიტომ მგონია, ჯამურად, ეს გუნდური მუშაობა არადამაკმაყოფილებელია — მე კი ის ჯარისკაცი არ ვარ, მედალი წაგებულ ომში ავიღო!

— არც დღევანდელი პარლამენტის მუშაობაა დამაკმაყოფილები?

— დღევანდელი პარლამენტი უვარგისია, სააკაშვილის პარლამენტიც ასეთი იყო და შევარდნაძისაც. რუსეთის იმპერიამ აუარებელი კაბალური ვალდებულება დაგვიტოვა ხელშეკრულებების სახით, ხან ვინ წაიღო ჩვენი ტერიტორია, ხან — ვინ, ჩვენ სათანადოდ ვერ ვიმოქმედეთ. საკანონმდებლო დონეზე უნდა გვქონდეს გაწერილი, რას წარმოადგენს საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ეს აქტები. ყველა ტერიტორიული დანაკარგი საკანონმდებლო დონეზე უნდა დავაფიქსიროთ, რადგან ისტორიის სასწორი კიდევ ბევრჯერ ამოძრავდება და ჩვენს სიმართლეს სხვანაირად ვერ დავასაბუთებთ. პარლამენტი ამას რომ ვერ და არ აკეთებს, მარტო მის უტვინობაზე კი არა, ეროვნული ნების არარსებობაზეც მეტყველებს. პარლამენტის შემადგენლობა არაა მომწიფებული ეროვნულ ცნობიერებამდე; იგივე იყო სააკაშვილის პარლამენტიც, ერთი განსხვავებით — ისინი მკვლელებიც იყვნენ. სინამდვილეში, ორივე ერთი ბანდაა და ორივეს რუსეთი მართავს. ამ პარლამენტისგან სარგებლის მიღება შეუძლებელია, რადგან ესენი პუტინის აგენტები არიან საქართველოში.

— სად, რაში ჩანს, რომ რუსულ საქმეს აკეთებენ?

— კარასინი-აბაშიძის ფორმატი ნულია! რუსეთთან სერიოზული დიალოგი შეუძლებელია. მისი რეალური ინტერესი საქართველოს განადგურებაა, რადგან იცის, რომ საშუალო და პატარა ერებთან ურთიერთობაში, დასავლეთს კონკურენტი არ ჰყავს. მოსკოვზე უკეთეს განათლებას ევროპასა და ამერიკაში მიიღებ, ტექნიკურ დახმარებასაც უკეთ გაგიწევენ, ფინანსურსაც და დასავლეთს, პოლიტიკური და დიპლომატიური თვალსაზრისითაც რუსეთზე დიდი გავლენა აქვს. რუსეთი მაშინ მოისვენებს, როცა მიწაზე გულაღმა დამხობილებს გულზე ჩექმას დაგვაბიჯებს. რუსეთი დაინტერესებულია, საქართველო უფუნქციო იყოს, ქვეყანაში მუდმივი ქაოსი სუფევდეს — მას სურს, დასავლეთმა ვერ გაიაროს შუა აზიისკენ, რადგან თუ იქ შეაღწია, რუსეთი დასავლეთს კონკურენციას ვეღარ გაუწევს და მთელი შუა აზია ერთხმად მოტრიალდება ევროპისკენ. იგივე უნდა თურქეთსაც, სხვათა შორის და რუსულ-თურქული კონფლიქტი მოჩვენებითია. ისინი სტრატეგიული მოკავშირეები არიან, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ნატო-შია ფორმალურად.

— ფორმალობაში რას გულისხმობთ? პრაგმატულადაც არ აწყობთ ომი ერთმანეთთან, არც შეუძლიათ, არც სახმელეთო საზღვარი აქვთ და პლუს, თურქეთს არაფერში სჭირდება არეულობა საქართველოში, რადგან შესაძლოა, ამით საფრთხე მის ენერგოდერეფანს დაემუქროს. ასე არაა?

— გეუბნებით, დღეიდან ნახევარი წელიწადიც არ გავა და რუსეთი და თურქეთი ისევ ჩახუტებული ძმები გახდებიან. რუსულ-თურქული კონფლიქტი ბლეფია. შერიგების გზებს ეძებენ, პუტინი კი, უბრალოდ, რუსი ხალხის წინაშე იბრიქება — მეომარი პრეზიდენტი ვარ, ყველას დედას ვუტირებო.

— ხშირად ასეთი კითხვა ისმის — ვის მხარეს უნდა იყოს საქართველო. ამ კითხვაზე პასუხი არსებობს?

— რუსეთი ბოროტების იმპერიაა. თან, პუტინი წაგებული ძალაა და როგორ შეიძლება, ორიენტირი ბოროტ და წაგებულ ძალაზე აიღო? ამას მხოლოდ ან დაბადებით აგენტი გააკეთებს, ან იდიოტი, ან ორივე ერთად. შევარდნაძეცა და სააკაშვილიც დაბადებიდან აგენტები იყვნენ, „ოცნების“ წარმომადგენლებიც ძირითადად, აგენტები არიან. საქართველომ თუ ოდნავ გონებაგახსნილი ხელისუფლება მოიყვანა ქვეყნის სათავეში და თავისი საქმე სამიანზე მაინც შეასრულა, რუსეთთან ყველა თამაშს მოვიგებთ.

— ვინ არის ისეთი, ვინც დაბადებიდან აგენტად არ მიგაჩნიათ?

— ძნელია ამის თქმა. კარგი ბიჭები და გოგოები ასე არ ჩანან.

— არც პაატა ბურჭულაძე?

— რა იცის ბურჭულაძემ პოლიტიკის, რა მაგის საქმეა, საერთოდ, რა ესმის? ეს იგივეა, ოპერაში მივიდე და სოლისტად ამიყვანეთ-მეთქი, მოვთხოვო. აბსურდია. ხომ გაგიგონიათ, კინტო მივიდა ოპერაში, სოლისტად ამიყვანეთ, არც ხმა მაქვს, არც სმენა, მაგრამ დილიხორი მაქვსო — ასეა ახლა ბურჭულაძის საქმე. კაცს თავისი შრომით მონაგარი ფული აქვს, ემეტება კიდეც, დადებითი კაცია, ღმერთმა უშველოს, მაგრამ როგორ შეიძლება, პოლიტიკაში რაღაც თქვას? ალბათ, ეს ამბიცია იმიტომ აქვს, რომ არ იცის, რა ხდება პოლიტიკის გულში და პოლიტიკა ადვილი ჰგონია.

— მაშინ, ვინ გეგულებათ მოქმედი ლიდერებიდან ისეთი, ვისაც ვითარების შეცვლა შეუძლია — ბურჯანაძე, ალასანია?

— ბურჯანაძე ყველაზე უარესი, უსირცხვილო აგენტია. ამბობს, რუსეთს მოველაპარაკოთო, მაგრამ რა პოზიციით უნდა მოველაპარაკოთ, რას შეგვპირდა? ჩვენი საქმე რომ წავიდა ცუდად, შევარდნაძემ მითხრა, „ესენგე“-ში უნდა შევიდეთო. ვიკითხე, სანაცვლოდ, რუსეთმა თუ მოგვცა აფხაზეთის დაბრუნების პირობა-მეთქი და არაო. მაშინ რა აზრი აქვს ამ დათმობას?

— დღეს რა უნდა იყოს ჩვენი პოლიტიკური ფასი აფხაზეთის დაბრუნებისთვის, ევრაზიულ კავშირში შესვლა?

— რუსეთს სურს, ამიერკავკასიის მეოთხე სახელმწიფო გახდეს და ამ მიზანს ცოცხალი თავით არ დათმობს. ჩვენი სიწყნარის გზა რუსეთის დამარცხებაზე გადის, რასაც შეგვიძლია, ხელი შევუწყოთ. ეს თუნდაც გაერო-ს ტრიბუნიდან უნდა გავაკეთოთ და ჩვენს თავზე ავიღოთ ჩრდილოკავკასიელი ხალხის ინტერესების ლობირება, რათა ისინი რუსეთის ხელიდან გამოვიხსნათ. რაც შეეხება აფხაზეთს, ოფიციალურად, პატეფონივით უნდა ვატრიალოთ ერთი და იგივე — ჩვენი სახელმწიფოს უფლებაა, აფხაზეთში თავისი იურისდიქცია გაავრცელოს და ამას სხვას არავინ ეკითხება, მათ შორის, არც აფხაზების თანხმობა გვჭირდება, რადგან ისინი მოსახლეობის 18% არიან. გამოსავალი ისაა, „ოცნებაცა“ და ნაციონალებიც ასპარეზს მოცილდნენ. ჩვენს ქვეყანას აქვს ადამიანური პოტენციალი, უბრალოდ, ამ წინასაარჩევნოდ, ხალხს თავისუფალი ტრიბუნა და პირობები რომ მიეცეს და დარწმუნებული ვარ, არც ნაცებისგან დარჩება რამე, არც — „ქოცებისგან“. რომელია ამათში კამათისუნარიანი, რომელს შეუძლია, თავისი დამპალი პოზიციის დაცვა — რესპუბლიკელებს? უმეცრები არიან, კამათში მათი მონაწილეობა არც მახსოვს, არ იციან, რას ბოდავენ. პოტენციალი თავად ხალხშია და ხალხს რომ თავისუფალი ტრიბუნა ჰქონდეს, ყველა მოქმედ ლიდერს გააქრობდა, თუნდაც ერთთვიანი თავისუფალი დისკუსიის საშუალებით მედიაში. თუმცა მასმედიაც მტრის ხელშია და ეს ასპარეზი არ არსებობს.

წინასაარჩევნო ბრძოლა ცესკო-სთვის

მაია მიშელაძე, 593-51-90-12

წინასაარჩევნო ვნებათაღელვა ნელ-ნელა ამოიქოქა და პროკურატურაც გამოცოცხლდა. შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარის, ალეკო ელისაშვილის ტელეგანცხადებაზე, მთავარმა პროკურატურამ საქმე მეორე დღესვე აღძრა. ერთი თვის წინ კი, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შესაბამისობის აუდიტი ჩაატარა, რომელიც 2013-2014 წლებს მოიცავდა. „ვერსიამ" ეს დასკვნა უკვე გამოაქვეყნა. მართალია, ცესკო-ში აღმოჩენილი ფინანსური დარღვევები იმდენად მძიმე არ ყოფილა, ლაშა თორდიას უწყებას ეს დასკვნა პროკურატურისთვის გადაეგზავნა, მაგრამ გაირკვა, რომ სწორედ აუდიტორული დასკვნის საფუძველზე, ცესკო-ში მთავარი პროკურატურა შევიდა. რაც მთავარია, წინასაარჩევნო პერიოდში, გამორიცხული არ არის, ცესკო-ში ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებასაც და ამის საფუძველზე, პროკურატურის დაინტერესებასაც, პოლიტიკური სარჩული აქვს.

დაიჭერენ თუ არა ზურაბ ხარატიშვილს

რას იძიებს პროკურატურა ცესკო-ში?

ცენტრალური საარჩევნო კომისიის აუდიტორული შემოწმების დასკვნა „ვერსიამ" ვრცლად უკვე გამოაქვეყნა. სახელმწიფო აუდიტორებმა ცესკო-ში სხვადასხვა სახის ფინანსური დარღვევები აღმოაჩინეს, მათ შორის, ელექტრონულ შესყიდვებში, მივლინების მიზნობრიობასა და საწვავის ხარჯვაში. „ვერსიამ" გაარკვია, რომ მართალია, პროკურატურა ცესკო-ში შევიდა, მაგრამ რეალურად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის — სსიპ „სწავლების ცენტრის" მიერ, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი საგრანტო თანხების მიზნობრიობას იძიებს. „სწავლების ცენტრი" ცესკო-ს ქოლგის ქვეშ კი არსებობს, მაგრამ სინამდვილეში, სსიპ-ია, რომელიც ცესკო-სგან დამოუკიდებელი სტრუქტურაა.

„სწავლების ცენტრის" მიერ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი გრანტების მიზნობრიობა სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში ცალკე ქვეთავადაა გამოყოფილი. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე პრიმა მუხლის მიხედვით, „სწავლების ცენტრი" იმ ფონდის ფუნქციებს ასრულებს, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ირიცხება თანხა. ფონდის მიზანია პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარება, ასევე ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ამავე მუხლის მე-7 პუნქტით, ფონდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხის 50% უნდა განაწილდეს პოლიტიკურ პარტიებზე, ხოლო 50% — არასამთავრობო ორგანიზაციებზე. 2013 წელს, არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემული გრანტების საერთო მოცულობა — 1 244 100 ლარი, ხოლო 2014 წელს — 1 511 500 ლარი იყო.

საგრანტო კონკურსის დებულების მე-11 მუხლით, პროექტზე გაცემული საგრანტო თანხა მიზნობრივად, ეფექტურად და დასაბუთებულად უნდა დაიხარჯოს. აღნიშნული პრინციპების დაცვით, პროექტის განხორციელებაზე გაცემული საგრანტო თანხებით შეიძლება დაფინანსდეს შრომის ანაზღაურება, მგზავრობის ხარჯი (მხოლოდ საქართველოს ფარგლებში), ოფისის ხარჯი (საკანცელარიო, საოფისე ტექნიკა, სასტამბო ხარჯი), წარმომადგენლობითი ხარჯი (კონფერენციებისა და შეხვედრების ორგანიზება).

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ „სწავლების ცენტრმა", 2014 წლის 11 აპრილს, არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი (ააიპ) „საზოგადოებრივ დამცველთან", 3 საგრანტო ხელშეკრულება გააფორმა. მათ ფარგლებში, 28 627 ლარი სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ანგარიშზეა გადარიცხული. თუმცა იმ დოკუმენტაციის საფუძველზე, რაც ცესკო-მ სახელმწიფო აუდიტორებს წარუდგინა, შეუძლებელია, ამ თანხის გადარიცხვის საფუძველი და ინსტიტუტის მიერ გაწეული მომსახურება დადგინდეს.

2013 წლის 25 ივლისს, ააიპ „ევროკავკასიური თანამშრომლობის ასოციაციასთან" გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, 2 350 ლარის ღირებულების ავეჯი და 1 324 ლარის ღირებულების ციფრული კამერა — Samsung Galaxy შეიძინეს, თუმცა სახელმწიფო აუდიტორები, მსგავსი ტექნიკური მახასიათებლებისა და ღირებულების ფოტოკამერის შეძენის გადაწყვეტილების აუცილებლობაში ვერ დარწმუნდნენ.

2014 წლის 15 მაისს, ააიპ „სამოქალაქო განვითარების ქართულ-ბერძნულ ფონდ გორგია-ელადასთან" გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, პირადი მოხმარებისათვის, 478 066 ლარის ღირებულების ჰიგიენის საგნები და პროდუქტი შეიძინეს. მაგალითად, ტანის დეზოდორანტი, 1 ბოთლი ზეთი, 3 გაყინული ქათამი, ერთი მარგარინი. ამავე ხელშეკრულებით, ცესკო-ს წარმომადგენლებს ამერიკის მოქალაქისაგან 1 700-ლარიანი მეორადი მოხმარების ვიდეოკამერაც შეუძენიათ.

2014 წლის 11 აპრილს, ააიპ „მედიის განვითარების ფონდთან" გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კონკურსის — „ჩემი ლიდერი ქალები" გამარჯვებულთა და ლიდერ ქალთა დაჯილდოების ცერემონიალის ჩასატარებლად, 9 718 ლარი გაიხარჯა. გარდა ამისა, 4 450 ლარი ელექტროტექნიკის შესაძენად დახარჯეს, თუმცა სახელმწიფო აუდიტორები ამ ხარჯების მიზნობრიობაში ვერ დარწმუნდნენ.

2014 წლის 11 აპრილს, ააიპ „Post ალიონთან" გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, 3 583 ლარის ლარის ღირებულების კომპიუტერი და 3 985 ლარის საწვავის ტალონები შეიძინეს. ცესკო-ს მიერ, სახელმწიფო აუდიტორებისთვის წარდგენილი დოკუმენტაცია კი საწვავის გახარჯვასთან დაკავშირებულ დეტალურ ინფორმაციას არ შეიცავს, რადგან ამ დოკუმენტებში არც გავლილი მანძილი იყო აღრიცხული და არც გასვლა-დანიშნულების ადგილები. შესაბამისად, აუდიტორები ვერც ამ ხარჯების მიზნობრიობაში დარწმუნდნენ.

ცესკო და „სწავლების ცენტრი" აუდიტის დასკვნას არ იზიარებს

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა, რომელიც ცესკო-ში ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებას ეხება, 2015 წლის 13 ნოემბერს გასაჯაროვდა. თითქმის ერთი თვის შემდეგ, 14 დეკემბერს, მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში დაადასტურა, რომ პროკურატურა რამდენიმე დღის წინ ცესკო-ში შევიდა.

როგორც წესი, სახელმწიფო აუდიტორები, ნებისმიერი საჯარო უწყების დასკვნის აქტს პროკურატურას იმ შემთხვევაში უგზავნიან, თუ აუდიტორული შემოწმების დროს, სისხლისსამართლებრივი ნიშნები გამოიკვეთება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მსგავსი არაფერი მომხდარა — ცესკო-ში ისეთი მძიმე ფინანსური დარღვევები არ გამოვლენილა, მათი გამოსწორება შეუძლებელი ყოფილიყო. რაც მთავარია, სახელმწიფო აუდიტორული შემოწმების შედეგებს ცესკო-ს სასწავლო ცენტრის წარმომადგენლები არ იზიარებენ. კანონმდებლობით, ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერ უწყებას, რომელსაც სახელმწიფო აუდიტი უტარდება, უფლება აქვს, დასკვნაცა და სადავო საკითხიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურშივე, ერთი თვის ვადაში გაასაჩივროს. ცესკო-ს თავმჯდომარემ და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელმა, სწორედ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში გაასაჩივრეს დასკვნა, რასაც ვრცელი შენიშვნებიც დაურთეს. 2015 წლის 21 დეკემბერს, აუდიტის სამსახურში გაიმართება სხდომა, სადაც ცესკო-სა და სწავლების ცენტრის საჩივარს განიხილავენ და თუ გაირკვევა, რომ მათი შენიშვნები არგუმენტირებულია, სახელმწიფო აუდიტორები უკვე გამოქვეყნებულ დასკვნას შეცვლიან, ან არგუმენტირებულად მიჩნეულ შენიშვნებს ამავე დასკვნას დანართის სახით დაურთავენ.

ეს კანონმდებლობით დადგენილი, ჩვეულებრივი სამართლებრივი პროცედურაა, რაც ნებისმიერი სახელმწიფო უწყების აუდიტორულ შემოწმებას ახლავს და ამის შესახებ მთავარ პროკურატურაშიც კარგად იციან. ვიდრე ცესკო-ს თავმჯდომარე თამარ ჟვანია და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელი ნათია ზაალიშვილი, სახელმწიფო აუდიტორულ დასკვნას ასაჩივრებდნენ და საკუთარ შენიშვნებს გამოთქვამდნენ, პარალელურად, ირაკლი შოთაძის უწყების წარმომადგენლები, საკუთარი ინიციატივით შევიდნენ ცესკო-ში და სწავლების ცენტრის მიერ, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი გრანტების შესწავლას შეუდგნენ.

სწავლების ცენტრის ხელმძღვანელმა, **ნათია ზაალიშვილმა** „ვერსიასთან" აღნიშნა, რომ ინფორმაცია პროკურატურის ცესკო-ში შესვლის შესახებ, მედიასაშუალებებიდან შეიტყო:

— მედიიდან შევიტყვეთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის საფუძველზე, რომელიც 2013-2014 წლებში, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, საგრანტო თანხების გადმორიცხვას ეხება, პროკურატურაში ძიება დაიწყო. არ ვიზიარებთ აუდიტის სამსახურის ანგარიშს და კანონმდებლობით დადგენილი წესით, გავასაჩივრეთ. 21 დეკემბერს, აუდიტის სამსახურში უკვე ჩანიშნულია სხდომა, სადაც ამ ანგარიშს განიხილავენ. დარწმუნებული ვარ, განხილვის პირობებში, ნათელი მოეფინება ყველა ამ საკითხს და აუდიტის სამსახური ანგარიშს შეცვლის. რა თქმა უნდა, იმედი გვაქვს, პროკურატურა ობიექტური გამოძიებით დაადგენს, რომ ამ მხრივ, დანაშაულის ნიშნებს ადგილი არ ჰქონია.

— ვიდრე ცესკო-ს, სასწავლო ცენტრსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შორის ყველა პრობლემური საკითხი არ ამოიწურება, როგორც წესი, პროკურატურა მოკვლევას არ იწყებს. როგორ მოხდა, რომ ძიება საკუთარი ინიციატივით დაიწყეს?

— სხვათა შორის, ეს ჩვენც გვაინტერესებს, რადგან, როგორც გითხარით, პროკურატურაში საქმის ძიების საკითხი მხოლოდ მედიიდან შევიტყვეთ, სხვა წყაროებიდან ინფორმაცია არ მიგვიღია.

— აუდიტის ანგარიშში სხვადასხვა დარღვევაა ასახული, კონკრეტულად რომელ დარღვევას იძიებს პროკურატურა?

— როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, საგრანტო თანხების გადარიცხვის საკითხს.

— რა ნაწილში არ ეთანხმებით სახელმწიფო აუდიტორებს?

— მართალია, აუდიტორული შემოწმება ცესკო-ში ჩატარდა, მაგრამ ცესკო დამოუკიდებელი უწყებაა, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირი — სსიპ „სწავლების ცენტრი", ცალკე უწყება. როგორც ამ ცენტრის ხელმძღვანელი გიცხადებთ, რომ სწორედ ჩვენს ნაწილში, ანუ საგრანტო თანხების არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გადარიცხვის მიზნობრიობაში არ ვეთანხმებით სახელმწიფო აუდიტის ანგარიშს. კანონმდებლობის თანახმად, ეს უკვე გავასაჩივრეთ და აუდიტის სამსახურში ადმინისტრაციული სარჩელიც წარვადგინეთ.

***

შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ ცესკო-ს აუდიტორული შემოწმება და ამ ანგარიშით მთავარი პროკურატურის დაინტერესება, ხელისუფლების მიერ, წინასაარჩევნო პერიოდში, პოლიტიკური ბრძოლის იარაღია ცესკო-ს თავმჯდომარეზე ზეწოლის მიზნით. საინტერესოა, დადგება თუ არა ზურაბ ხარატიშვილის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი, რადგან აუდიტორული შემოწმება სწორედ იმ პერიოდს ეხება, როდესაც იგი ცესკო-ს ხელმძღვანელობდა. მით უმეტეს, ზურაბ ხარატიშვილი ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერია.

„ვერსია" ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს, **ზურაბ ხარატიშვილს** დაუკავშირდა.

— ბატონო ზურაბ, ცესკო-ში ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შედეგად, დადგება თუ არა თქვენი პასუხისმგებლობის საკითხი?

— სიმართლე გითხრათ, წარმოდგენა არ მაქვს, რის საფუძველზე შევიდა პროკურატურა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ამიტომ ძალიან გამიჭირდება კომენტარის გაკეთება და საერთოდ, ეს ამბავი თქვენგან გავიგე. რაც შეეხება სწავლების ცენტრის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გადარიცხულ გრანტებს, აქ შედარებით მარტივადაა საქმე, რადგან ამ ნაწილში საკმაოდ გამჭვირვალე სისტემა გვაქვს. გრანტის შესახებ გადაწყვეტილებებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები იღებდნენ და პრაქტიკულად, ამ გადაწყვეტილებაში ცესკო პირდაპირ არ მონაწილეობდა. ხარჯებს რაც შეეხება, ყველა გრანტის ხარჯვითი ნაწილი, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში მოწმდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ხელმძღვანელობის დროს ასე იყო და არ მგონია, ეს პრაქტიკა შეცვლილიყო. შესაბამისად, ვეჭვობ, ამ მიმართულებით ისეთი დოკუმენტი მოძებნონ, რასაც სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის დასკვნა არ ახლავს. მოკლედ, გრანტების გამცემ კომისიაში საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ თავმყრილნი, ხოლო გრანტის შესრულების ფინანსური მხარე, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში მოწმდებოდა, ამიტომ მიჭირს იმის წარმოდგენა, რა დარღვევა იპოვეს ამ მხრივ.

— წინასაარჩევნო პერიოდში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ცესკო-ს აუდიტორული შემოწმება და მით უმეტეს, პროკურატურის შესვლა, არის თუ არა პოლიტიკური ზეწოლა ხელისუფლების მიერ?

— შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს არის პირდაპირი ზეწოლა ცესკო-ს თავმჯდომარეზე! მიუხედავად იმისა, რომ ცესკო-ს თავმჯდომარეს, თამარ ჟვანიასა და ხელისუფლებას შორის თითქოს დაპირისპირება არ შეინიშნება, რადგან ქალბატონ თამარს პოლიტიკური ბეგრაუნდი არ აქვს და ცესკო-ში საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოვიდა, შესაძლოა, ხელისუფლებას სურს, მის ნაცვლად, სრულად მართული ადამიანი დანიშნოს. წინ 2016 წლის არჩევნებია და ხელისუფლებას გარანტია უნდა ჰქონდეს, რომ ცესკო-ს თავმჯდომარე მათ ნებისმიერ სურვილს შეასრულებს... ამიტომ გამორიცხული არ არის, ეს თამარ ჟვანიაზე ზეწოლაა, რათა მან თანამდებობა დატოვოს!

ვერსიანიუსი

ნოემბერში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 85.2 მლნ დოლარი შეადგინა

2015 წლის ნოემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 85.2 მლნ აშშ დოლარი, ანუ 204.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 18.3 პროცენტით ნაკლებია 2014 წლის ნოემბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 91.7% იმ 13 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ ნოემბერში 1 მლნ დოლარს გადააჭარბა. იმავე 13 ქვეყანაზე გასული წლის ნოემბერში მთელი ფულადი გზავნილების 92.2% მოდიოდა. მათ შორის პირველ 3 ადგილს რუსეთი, საბერძნეთი და იტალია იკავებენ.

ბანკის ინფორმაციით, 2015 წლის ნოემბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 14.7 მლნ აშშ დოლარი გადაიგზავნა, 2014 წლის ანალოგიურ პერიოდში კი საქართველოდან ფულადი გზავნილების ოდენობამ 15.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

„პია"

სქემა, რომლითაც შეწყალების კომისიაში ფული კეთდებოდა

მეოთხედ შეწყალებული პატიმრის „ჩორნი ხოდები“ პრეზიდენტის კარზე და კომისიის წევრების „სტავკები“

პატიმარი №0578

ბოლო ერთი კვირაა, პატიმრების შეწყალება უფრო აქტუალური გახდა — შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ, ალეკო ელისაშვილმა განაცხადა, რომ მასზე პოლიტიკოსები ზეწოლას ახორციელებდნენ და ისეთი მსჯავრდებულების შეწყალებას ითხოვდნენ, რომლებსაც არ ეკუთვნოდა. ელისაშვილის ინფორმაციით, პოლიტიკოსებს შეწყალების სანაცვლოდ ფული ჰქონდათ აღებული. ამ საკითხზე ხმაური საპარლამენტო ოპოზიციამაც ატეხა. არაფრის მტკიცებას ვაპირებთ, უბრალოდ, მარტივად შეიძლება მოიძიოთ ის დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება, რომ 2013 წელს, საპრეზიდენტო ვადის მიწურულს, არაერთი „სპეცშეწყალება“ მოახდინა იმჟამინდელმა პრეზიდენტმა და არაერთი ისეთი პატიმარიც გაათავისუფლა, რომელსაც შეწყალება არ ეკუთვნოდა. ძალიან საინტერესო გვარებს წააწყდებით, საინტერესო საქმეებით. ისეც ხდებოდა, პატიმრებს, რომლებსაც სასჯელის ამოწურვამდე ერთი კვირა ან უფრო ნაკლები რომ ჰქონდათ დარჩენილი, ძალით აწერინებდნენ შეწყალებაზე განცხადებას. სააკაშვილიც „იწყალებდა“ მათ, სამაგიეროდ კი სია იყო მრავალრიცხოვანი...

რუსთავის №17 დაწესებულებაში პატიმარი მოიყვანეს. ერთი შეხედვით, არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ როცა კონკრეტული პატიმრისთვის სპეცეტაპი კეთდება და გლდანის ციხიდან ზონაზე მიჰყავთ, უკვე მრავლისმთქმელია — მინიმუმ, იმას ნიშნავს, რომ გარეთ გავლენიანი მფარველები ჰყავს, მაქსიმუმ კი — მფარველები არ ჰყავს, მაგრამ დიდი ფული აქვს და ციხიდან სასურველ ზონაზე ამიტომ ხვდება. პატიმარს ისტორიული სახელი, შავლეგო ერქვა, დუშეთიდან იყო...

„მერამდენედ უნდა დაგიჭირონ და გაგიშვან?!“ — ღიმილით უთხრა ზონის მაყურებელმა, როცა შავლეგო დაინახა.

„რა ვიცი, აბა, რა გითხრა? ან ამათ არ ეზარებათ, ან მიშას არ ეზარება... მოკლედ, რა... რა ხდება აქ, ისე ხართ, როგორც დაგტოვეთ?!“ — გაეცინა შავლეგს.

„გავგიჟდები, რა. 11 წელი მაქვს მისჯილი და მერვე დავამთავრე უკვე. ამ რვა წელში მეოთხედ დაიჭირეს ეს, შვიდ წელზე ნაკლები არასოდეს ჰქონია და სამივეჯერ ჩემზე ადრე გავიდა. ნახე, ახლაც გამასწრებს. „პალაჟენია“ რა, მიჭირავს როგორც შემიძლია, ამას თუ „პალაჟენია“ ჰქვია“, — ჯერ პატიმარ №0578-ს შესჩივლა მაყურებელმა, მერე ისევ შავლეგს მიუბრუნდა.

„სხვათა შორის, მოვიკითხე შენი ამბავი. შანსი არაა, „უდო“ შევახოთო, შეწყალებაზეც ზედმეტია საუბარიო და კი იცი შენ ამის მიზეზი“ — უთხრა შავლეგმა.

საქმე ის იყო, რომ ზონის მაყურებელი ყაჩაღობაზე გახლდათ დაჭერილი. ყაჩაღობის დროს პოლიცია დაადგა თავზე და ორმხრივი სროლისას მაყურებელმა პოლიციელი მოკლა. შესაბამისად, ასეთ საქმეებს არც შეწყალების კომისია განიხილავდა და „უდო“-ზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ის კი არა, შევარდნაძის დროს მაყურებლის ოჯახმა 80 ათასი დოლარი გადაიხადა, რომ სამუდამო არ მიეცათ და საბოლოოდ, 11 წელი აკმარეს.

„თუ საიდუმლო არ არის, სამჯერ როგორ გახვედი? „უდო“ არ მოგიწევდა, შეწყალებაც მხოლოდ ერთხელ შეგიძლია მოითხოვო და შეწყალებულს თუ დაიჭერენ, განცხადების მეორედ დაწერის უფლება არ აქვს“, — იკითხა №0578-მა.

„მეორედ შებღავლება დავწერე. შენ გადაიხადე, ძმაო და მეორედ და მესამედ კი არა, კვირაში ორჯერ შეგიწყალებენ“, — გაეცინა შავლეგს.

№0578-მა ეჭვით გახედა მაყურებელს და იმან დასტურის ნიშნად თავი დაუქნია.

„შეგიძლია ამიხსნა, როგორ? სად, ვისთან უნდა გაამწვანო?!“ — ისევ ჰკითხა №0578-მა.

„მიშას კარზე დაახლოებული პირები, არ არის აუცილებელი, ცნობილი სახე იყოს, მთავარია, მიშასთან „ხოდი“ ჰქონდეს. „უმაზავ მაყუთს“, ის შედის მიშასთან, ეუბნება, რომ ახლობლის შვილია, საქმეს სჭირდება და დამთავრდა. მიშამ შეიძლება იდეაში იცის, რომ „მაყუთი“ კეთდება, მაგრამ კიდია, რა შენი 20 და 30 ათასი. როცა მსხვილი ბიზნესმენია და არაოფიციალურად მილიონებს იწერს, მანდ უკვე სხვა სისტემაა და სავარაუდოდ, მიშას ინტერესიც არის“, — მარტივად ახსნა შავლეგმა.

„ანუ, გინდა თქვა, რომ მე 20-30 ათასი რომ გადავიხადო, შეწყალების სიაში მოვხვდები?!“ — ეჭვით იკითხა №0578-მა.

„გააჩნია, ვის ნახავ. დონე „მასტები“ 50 ათასზე ნაკლებ თანხას არ კიდებენ ხელს და წვრილფეხობამ შეიძლება 15 ათასადაც გააკეთოს“, — გაიღიმა შავლეგმა.

„და წვრილფეხობას მიშას კარზე რა უნდა?!“ — თვალები მოჭუტა №0578-მა.

„ეგ ჩვენი საზომებითაა წვრილფეხობა, გარედან კი ისე ჩანს, რომ დიდი კაცები არიან. იქაც არის შიდადინებები, ვიღაცას შეიძლება თანამდებობა არ აქვს, მაგრამ უდიდესი გავლენით სარგებლობს. მოკლედ, შენ თუ მაყუთი გაქვს და „ხოდს“ ვერ ჭრი, მითხარი და მოვსინჯავ ჩემი არხებით. მაინც „ვჩალიჩობ“ მეოთხე შეწყალებაზე, ასი ათასი დამიჯდება ალბათ, მაგრამ გადამხდელი ვარ და სადაც მე, იქ შენც რომ მიგაყოლონ ხურდაში, არ უნდა იყოს ცუდი“, — თვალი ჩაუკრა შავლეგმა.

„მოდი, ასე ვქნათ — შენებმა გაიკითხონ, რამდენი დაჯდება ჩემი გაშვება და მერე მე გეტყვი, რისი თავი მაქვს“, — უთხრა №0578-მა და შავლეგმაც თავი დაუქნია.

დაახლოებით ორ კვირაში შავლეგი №0578-ის კამერაში შევიდა, ნარზე ჩამოუჯდა და ჩურჩულით უთხრა: „შენი საქმე გავარკვიე. იმის მიუხედავად, რომ პირველი „სროკია“, მაინც 30 ათასს ითხოვენ, მძიმე მუხლია. მაგაზე იაფად ვერ გავქაჩე, ძმა, ბოდიში. მეგონა, 20 ათასად გააკეთებდნენ, მაგრამ არ გამოდის“. №0578-მა უხმოდ დაუქნია თავი, წამოდგა, ტელეფონებში ჩავიდა და მეორე დღისთვის ადვოკატი დაიბარა.

„რამდენად სანდოა?!“ — ჰკითხა ადვოკატმა, როცა №0578-მა არსებული ვითარება აუხსნა.

„სანდოა იმდენად, რამდენადაც ფული ბანკში იდება და ერთის მხრივ ამ ფულამდე ვერც ჩვენ მივალთ და ვერც მეორე მხარე, ანუ ერთი თვე ფულს ხელს ვერავინ დაადებს. თუ გამოვალ, ბანკში მივდივართ ერთად, ფულს ვიღებთ ერთად და ბედნიერი სახეებით ვშორდებით ერთმანეთს. თუ არა და ფულს ჩემი მხარე იღებს და მაინც ბედნიერია ყველა ჩემს გარდა. ჩათვალე, ბანკში ეს თემა და სქემა იციან, რადგან არც პირველი ვარ და არც ბოლო“, — აუხსნა №0578-მა.

„გასაგებია. ვეტყვი შენებს, მაგრამ შენც ხომ იცი, რომ დიდ ფულზეა ბაზარი?!“ — ჰკითხა ადვოკატმა.

„კი, ვიცი... მაგრამ ისიც ვიცი, რომ აქედან მალე თუ არ გავაღწიე, საერთოდ ველარ გამოვალ. ყველა ამბობს, სიტუაცია და „ვლასტი“ შეიცვლებაო, მაგრამ თუ „ვლასტი“ არ შეიცვალა, ჩათვალე, მე და ჩემნაირები აქ სამიზნეები ვიქნებით და უბრალოდ ჩაგვხოცავენ“, — უთხრა №0578-მა.

ადვოკატმა თავი დაუქნია და გავიდა. ორი თვის შემდეგ, შავლეგი შეწყალებით გაუშვეს, №0578-ის საქმე კი გაურკვეველი ვადით გადაიდო, რადგან მეორე მხარემ ფულის დამატება ითხოვა, პატიმრის ოჯახს კი მეტი თანხა უბრალოდ არ ჰქონდა.

ვერსიანიუსი

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი შსს-ს აკადემიის მაგისტრანტებსა და კურსანტებს შეხვდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს მიერ დაწყებული პროექტის „გზა წარმატებისაკენ“ ფარგლებში, შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა გოგა რაზმაძემ შსს-ს აკადემიის მაგისტრანტებისა და მსმენელებისთვის ლექცია ჩაატარა.

საპატრულო პოლიციის დირექტორმა ლექციაზე განვლილ კარიერულ გზაზე, საზოგადოებაში პოლიციელის როლის მნიშვნელობასა და საპატრულო პოლიციის სპეციფიკაზე ისაუბრა. გოგა რაზმაძე მსმენელებს ასევე ესაუბრა საპატრულო პოლიციის წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ და საკუთარი გამოცდილება გაუზიარა.

ლექციის შემდეგ შსს-ს აკადემიის მაგისტრანტებმა და მსმენელებმა გოგა რაზმაძეს მათთვის საინტერესო კითხვები დაუსვეს და მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებით არაერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია მიიღეს.

პროექტი შსს-ს რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა სფეროში დასაქმებული წარმატებული ადამიანები შსს-ს აკადემიის სტუდენტებსა და მსმენელებს საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ. მსგავსი სახის შეხვედრა უკვე მეორედ გაიმართა. ახალი ინიციატივა მიზნად ისახავს შსს-ს მომავალ თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

შსს-მ უკანონო იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1975 წელს დაბადებული სერგო ა. თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, „ვალტერის“ ტიპის პისტოლეტი და 107 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. ნარკოლოგიური შემოწმებით სერგო ა-ს ამფეტამინისა და მეტამფეტამინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

შსს-მ მკვლელობაში ბრალდებული პირი ცხელ კვალზე დააკავა

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს და ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1961 წელს დაბადებული ანდრო მ. განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე მდებარე თავისივე საცხოვრებელ კორპუსში, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა 1977 წელს დაბადებული გიორგი ბ, ხოლო 1989 წელს დაბადებული ზურაბ ბ. ფეხის არეში დაჭრა.

დაკავებისას ბრალდებულმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია, რა დროსაც ფეხში მსუბუქად დაიჭრა. ანდრო მ-ს და ზურაბ ბ-ს შესაბამისი სამედიცინო დახმარება უტარდებათ. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. დანაშაულის ჩადენის იარაღი შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ნივთმტკიცებად.

გამოძიება განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე და 236-ე მუხლებით).

„ვერსიანიუსი“

უსაფრთხოა თუ არა „მოწმეობა“ საქართველოში

ნინო კომახიძე, 599-95-33-16



მოწმის დაკითხვის წესის ცვლილებების შესახებ კანონპროექტი პარლამენტმა უკვე მეორე მოსმენით მიიღო და ამ ახალი რედაქციის ნაწილი 2015 წლის 31 დეკემბრიდან ამოქმედდება. კანონპროექტის ავტორები კი იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულების სამინისტროები და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არიან. „ამიერიდან, მოწმეს, ჩვენების მისაცემად, აღარასოდეს დაიბარებენ საგამოძიებო ორგანოში. გარკვეული პირობების შემთხვევაში, იგი შეიძლება სასამართლოში, მაგისტრატ მოსამართლესთან დაიკითხოს“, — ამაყად განაცხადეს ინიციატორებმა და დარჩა შთაბეჭდილება, რომ მოწმეთა უფლებების დაცვის უმაღლეს ინსტანციას მივაღწიეთ. თუმცა „ვერსია“ სწორედ იმის გარკვევას შეეცადა, ცვლილებათა ამ კონკრეტული პაკეტით და ზოგადად, რამდენად დაცულია მოწმეთა უფლებები, მათ შორის, ფიზიკური ხელშეუხებლობა. მარტივად რომ ვთქვათ, შევეცადეთ, პასუხი ყველა დროის აქტუალურ კითხვაზე მიგვეღო — უსაფრთხოა თუ არა მოწმეობა საქართველოში.

რა იცვლება 4 სამინისტროს მიერ მომზადებული კანონით და რა საფრთხეები დევს ე.წ. რეფორმაში მოწმეთა დაცვის შესახებ

ამიერიდან, მოწმის გამოკითხვა გამომძიებლის მიერ ნებაყოფლობითი იქნება, მაგრამ თუ მოწმე ინფორმაციის მიწოდებაზე უარს ამბობს, არადა, პროკურორს მიაჩნია, რომ დანაშაულის გახსნისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს, მაშინ მას უფლება აქვს, სასამართლოს თანხმობის შემთხვევაში, მოწმე მაგისტრატი მოსამართლის თანდასწრებით დაკითხოს. თუმცა სისხლის სამართლის გარკვეულ დანაშაულებზე მოწმეთა დაკითხვის ძველი წესი ნარჩუნდება, რაც ჩვენების მისაცემად ისევ პროკურატურაში დაბარებას ითვალისწინებს. 2017 წლის 31 დეკემბრამდე, ამ წესით განზრახ მკვლელობის, თვითმკვლელობამდე მიყვანის, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების, ოჯახში ძალადობის, ძარცვის, ყაჩაღობის, შეთქმულების ან ამბოხის, ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულებისა და მსგავსი საქმეების მოწმეებს დაკითხავენ. მთავარი, რაზეც ამ დღეებში იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი საუბრობდა, კოდექსში 370-ე მუხლის დატოვება იყო. წულუკიანის მტკიცებით, მოწმე, რომელიც ნებაყოფლობით გამოიკითხება, საგამოძიებო ორგანოს მოტყუებისა და ძიების ცრუ მიმართულებით წაყვანის შემთხვევაში, მკაცრად უნდა ისჯებოდეს. **„ეს რეფორმა იმისთვისაა საჭირო, მოწმის უფლებები საქართველოში დაცული იყოს, მოწმის გამოკითხვა ნებაყოფლობითი კია, მაგრამ მას ყველაფრის უფლება არ უნდა ჰქონდეს“,** — ასე აჯამებს მინისტრი რეფორმადწოდებულ ცვლილებებს, თუმცა ალბათ, ცოტამ იცის, რომ აქ სიახლე, მით უმეტეს ისეთი, რომ რეფორმა ვუწოდოთ, ფაქტობრივად, არაფერია. მაგალითად, არსად ჩანს, რა მექანიზმით დაიცავს განსაკუთრებული საქმეების მოწმეთა უფლებებს სახელმწიფო 2017 წლამდე; ან ვინ და როგორ უზრუნველყოფს ბრალდებისა და დაცვის მოწმეთა თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას, თანაბარ პირობებში დაკითხვას, მათი სიცოცხლის დაცვას. არახალია, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, მოწმეებზე სიტყვიერადაც და ფიზიკურადაც ძალადობდნენ. ეჭვმიტანილებისგან აღიარებითი ჩვენების მიღების სიკეთისა არ იყოს, წლების განმავლობაში, მოწმისგან სასურველი ჩვენების მიღებაც ქართული გამოძიების თანმდევია. კიდევ ერთი მომსახურება კი, რომელიც ნომინალურია, მაგრამ კანონით მაინცაა გაწერილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური სამსახურია, რომელსაც მოწმეთა დაცვა ევალება. მოწმეთა დაცვის ეს პროგრამა 2006 წლიდან მოქმედებს, თუმცა მუდმივად ექსპერტების, იურისტებისა და უფლებადამცველების კრიტიკის საგანია. მაგალითად, მოწმის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას პროკურორი, მთავარი პროკურორი ან მისი მოადგილე იღებს, რაც ცალ კარში თამაშია — არ არსებობს იმ პირთა მიმართ დაცვის პროგრამის გამოყენების მექანიზმი, რომლებიც პროკურატურის კი არა, დაცვის მხარის მოწმეები არიან. გარდა ამისა, მოწმეთა მიმართ დაცვის სპეციალურ ღონისძიებებს შს სამინისტრო უზრუნველყოფს, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, შესაძლოა, ამ საქმეებზე გამოძიებას თავად აწარმოებდეს. ეს კი მის მიერ დასაცავ მოწმეზე უშუალოდ გამომძიებლების მხრიდან, სასურველი ჩვენების მისაღებად, ზეწოლის რისკს ზრდის. ბოლობოლო, როცა ბაჩო ახალაია ციხიდან მოსამართლეებზე იწერება, მათი სახით, მანტიაში გამოწყობილი „კანონიერი ქურდები“ გვყავს და ეს ფენომენი საბოლოოდ უნდა მოვაშთოთო, მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემ მოწმეებს დაცვის გარანტიას ვინ აძლევს?! არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახალაიას წინააღმდეგ არაერთმა მოწმემ ჩვენება შეცვალა, თავად ამ მოწმეთა უმრავლესობის რეპუტაცია კი, მათი კრიმინალური წარსულის გამო, ისედაც ეჭვქვეშ იდგა; ან, თუკი ვანო მერაბიშვილი, ბაჩო ახალაია, გიგი უგულავა, ირაკლი ფირცხალავა და სხვა ე.წ. ოდიოზური ნაციონალები მართლა ასეთი სისხლისმსმელები და კაცისმკვლელები არიან, იმ მოწმეებს ვინ დაიცავს, რომელთა უშუალო ჩვენებით ზის ეს ხალხი ციხეში? ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ზურაბ ჟვანიას საქმის უმნიშვნელოვანესი მოწმეების, გვამის გამკვეთისა და ექსპერტების საეჭვო ვითარებაში, პანტა-პუნტით გარდაცვალების გამო? თუნდაც ბოლო, საკრებულოს დეპუტატ ალეკო ელისაშვილის გახმაურებული შემთხვევა ავიღოთ — იგი საზოგადოებას სკანდალურ ინფორმაციას უმხელს ხელისუფლების მაღალჩინოსნების, მათ შორის, დეპუტატების მიერ „კანონიერი ქურდების“ გათავისუფლების შესახებ, თანაც ამტკიცებს, მეშინია, სადმე არ მომკლანო. ელისაშვილს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა რამდენიმე დღეში შესთავაზა კიდეც სახელმწიფო დაცვით სარგებლობა, რაზეც საკრებულოს დეპუტატმა უარი განაცხადა და როგორც გაირკვა, მანამდე უარი პროკურატურასაც უთხრა, დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩასმაზე — არ მეშინიაო. თუმცა გამორიცხული არც ისაა, რეალურად, მომსახურების ეს სერვისი მოწმის დაცვაზე მეტად, მის „დავერბოვკებაზე“ მუშაობდეს და იქნებ, სწორედ ამიტომ უფრთხიან მოწმეები ამ პროგრამაში ჩასმას? ფაქტია, ამ აქტუალურ კითხვებს არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ეს ცვლილებები პასუხობს და ამ კუთხით, არც კანონის გაუმჯობესებაა დაგეგმილი. ამ თემებზე „რეფორმატორთა კლუბის“ დირექტორს, იურისტ **ირაკლი კობიძეს** მივმართეთ, რომელიც გარკვეულ ეჭვებს გამოთქვამს: **„მოწმეთა დაცვას შსს სამინისტროს სპეციალური დეპარტამენტი უზრუნველყოფს. ზოგადად, ნებისმიერ შემთხვევაში, მოწმის უსაფრთხოებაზე პასუხს სახელმწიფო აგებს და არსებობს გარკვეული კრიტერიუმები, რის საფუძველზეც შესაძლოა, მოწმეს სახელმწიფო დაცვა დაენიშნოს. საუბარია ჩვეულებრივ დეპარტამენტზე, რომელიც პოლიციელებისგან შედგება და განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ადამიანის უსაფრთხოებას დაიცავენ. თუმცა აქ მეორე საკითხია, შესაძლოა, თავად მოწმემ არ ისურვოს მსგავსი სახელმწიფო დაცვის მომსახურებით სარგებლობა და კერძო დაცვის სამსახური დაიქირაოს, რადგან ჩათვალოს, რომ ამით მის მიმართ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ზეწოლა გაიზრდება. ბაჩო ახალაიას საქმეს დეტალურად არ ვიცნობ, მაგრამ აქ ის გარემოებაცაა მნიშვნელოვანი, რომ მისი საქმის მოწმეების ჩვენებებზე, ამავდროულად, ესა თუ ის საქმეებიც აღიძრა, რაც ასევე პროკურატურის ინტერესებში შედიოდა“.**

როგორც **ირაკლი კობიძე** განმარტავს, შეცვლილი ე.წ. რეფორმაშიც დიდი არაფერია, ყოველ შემთხვევაში, უკეთესობისკენ. როგორც იურისტი ხსნის, მოწმე

ცრუ ჩვენებისთვის, რომელიც მან შესაძლოა, ზეწოლისა თუ შიშის გამო მისცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში ისჯებოდა, თუ ამ ჩვენებას ღია სასამართლო სხდომაზე, ფიცით დაადასტურებდა. ცვლილების მიხედვით კი, ამიერიდან, მოწმე გამოკითხვის დროს დაშვებული შეცდომის გამოც დაისჯება. დაკითხვისა და გამოკითხვის ინსტიტუტი კი ერთმანეთისგან განსხვავდება: **„ახალი კოდექსით, რომელიც 2010 წელს ამოქმედდა, მოწმის დაკითხვა, წინასწარი გამოძიების სტადიაზე, არ შეიძლებოდა. მოწმე, როგორც მტკიცებლების წყარო, პირველად სასამართლოში იკითხებოდა, დაცვის მხარეების მონაწილეობით და მის ჩვენებას მხოლოდ მაშინ ჰქონდა მტკიცებულების ძალა, თუ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის თანდასწრებით და ღია სასამართლო სხდომაზე იკითხებოდა. ახლა კი, უნდა ვიცოდეთ, რა პრობლემები დადგება იმის შედეგად, რომ მოწმე წინასწარი გამოძიების სტადიაზე დაიკითხება: მას წაიყვანენ პოლიციაში და შესაძლოა, ასე „დააკაჩაონ“: გაფრთხილებ, რასაც ახლა ამ ჩვენებაში დამიწერ, სასამართლოზეც იგივეს გაიმეორებ ორ თვეში, თუ არადა, პასუხისგებაში მიგცემ ცრუ ან ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებისთვისო. ეს გარემოება მოწმეებზე გავლენას ახდენს. არადა, კოდექსში ისიც გვიწერია, მთავარ სხდომამდე მოწმეები რა შემთხვევაში შეიძლება დაიკითხონ, ოღონდ ისევ მოსამართლისა და მხარეების თანდასწრებით: როცა მოწმეს ისეთი დაავადებები სჭირს, რომ შესაძლოა, სხდომის ჩანიშვნამდე გარდაიცვალოს, ხანგრძლივი ვადით მიემგზავრება უცხოეთში და ვერ შეძლებს პროცესზე დასწრებას და ზოგადი ნორმა, რომლის თანახმად, მოწმის ჩვენება აუცილებელია სასამართლოში საქმის წარსამართად. აქ ისიც მნიშვნელოვანია, როგორ ხდება მოწმის იდენტიფიცირება, ანუ დაცვისა და ბრალდების მხარეები როგორ არკვევენ, ვინ არის მათი პოზიციის გამმყარებელი მოწმე? სწორედ აქ შემოდის გამოკითხვის მეთოდი, რომელიც ნებაყოფლობითია. ეს ამ ახალ კანონპროექტშიც გვიწერია, მაგრამ იმავდროულად, ისიც წერია, ნებაყოფლობითობის მიუხედავად, ადამიანი მაინც ვალდებულია, სიმართლე ილაპარაკოს და შემდეგ ჩვენება არ შეცვალოს. აქაც ისევ მაიძულებელი ნორმა ჩნდება. ამ დროს, მოწმის ჩვენება, სხვა მტკიცებულებებისგან განსხვავებით, ყოველთვის სუბიექტურია და შესაძლოა, ცვლადიც იყოს. ადამიანები ვართ და ყველანი სუბიექტურად აღვიქვამთ სამყაროში მიმდინარე მოვლენებს, თან ეს ფაქტები და მოვლენები, დროთა განმავლობაში, გვავიწყდება. ამიტომ**

ძალიან მარტივად შეიძლება, პოლიციის კანონის 21-ე მუხლის თანახმად, სადაც წერია, რომ პოლიციას აქვს უფლება, პირი დაკითხვაზე მიიწვიოს, ხელი ვინმე გაუთვითცნობიერებელ პირს ჩაავლოს და ვითომდა ნებაყოფლობით, დაკითხვაზე მიიყვანოს. როცა მოწმის სასამართლომდე დაკითხვის პროცედურა ისედაც არსებობს, ეს გამოკითხვა უკვე დამატებითი პროცედურაა, რომელიც მოწმეთა იდენტიფიცირების ფუნქციის ნაცვლად, დაკითხვის ფუნქციასაც იძენს და პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც აკისრებს... ამიტომ მგონია, ამ ნორმების ჩამატება საჭირო საერთოდ არ იყო. პირიქით, ხელი იმისთვის უნდა შეეწყოთ, რომ წინასასამართლო სხდომაზე მოწმის წარდგინებამდე და წინასწარი გამოძიების პერიოდში, მოწმისა და პოლიციის ურთიერთობა რაც შეიძლება ნაკლები და შეზღუდული ყოფილიყო. აი, სწორედ ეს იყო პრობლემა, რის გამოც საპროცესო კოდექსი თავიდან ბოლომდე უნდა შეცვლილიყო, რადგან ეს ყველაფერი მოწმეთა მიმართ კი არა, სწორედ მართლმსაჯულებისა და გამოძიების ორგანოების მისამართით აჩენდა კითხვებსა და ეჭვებს. ამიტომ პირველ ყოვლისა, ირღვევა ბრალდებულების უფლება, რადგან მათ მიმართ, შესაძლოა, არაჯანსაღი მტკიცებულებები გამოიყენონ და მეორე მხრივ, ირღვევა იმ მოწმეთა უფლებები, ვინც, ვითომ ნებაყოფლობითი გამოკითხვის დროს, შესაძლოა ე.წ. იძულებითი მოწმეებიც გახდნენ. ასეთი ტიპის საქმეებში კი, წლების შემდეგ, ყოველთვის შეიძლება გაჩნდეს ახლადაღმოჩენილი გარემოებების გამო გადასინჯვის საფუძველი, რაც ჯამში, სასამართლოს მიმართ შეარყევს ნდობას“.**

ვერსიანიუსი

შსს-მ ნარკოდანაშაული გახსნა



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული გიორგი მ. და 1987 წელს დაბადებული, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ალბინა ს. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ორივე დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 97 აბი (მეთილენდიოქსიმეტამფეტამინი) ე. წ. ექსტაზი ამოიღეს.

ნარკოლოგიური შემოწმებით ალბინა ს-ს ნარკოტიკული საშუალება „ექსტაზის“, ამფეტამინისა და მეტამფეტამინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

საგამოძიებო სამსახურმა თაღლითობის ფაქტზე ერთი პირი პასუხისგებაში მისცა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, თაღლითობის ფაქტზე, მოქალაქე თეიმურაზ ჯანიაშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული, ერთ-ერთ მოქალაქეს მოტყუებით დაპირდა, რომ დაასაქმებდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, რის სანაცვლოდაც, დაზარალებულს გამოართვა 5 000 აშშ დოლარი.

გამოძიება მოტყუებით სხვისი თანხის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების ფაქტზე მიმდინარეობს, რაც 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ვერსიანიუსი“

ნაირა ალავერდაშვილი: „უნივერსიტეტი პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს ეკუთვნის“

თამარ მჭედლიშვილი

მომავალი წლის თებერვალში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელი ეყოლება. კონკურსი ამ თანამდებობაზე მიმდინარე წლის ნოემბერში გამოცხადდა. წინასწარი ინფორმაციით, კონკურსში მონაწილეობის სურვილი ექვსმა ადამიანმა გამოთქვა. იანვრის თვეს, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, მათთან გასაუბრებას და ყველაზე მისაღები კანდიდატის შერჩევას დაუთმობს, ხოლო არაუგვიანეს ხუთი თებერვლისა, კანდიდატურა დასამტკიცებლად წარმომადგენლობით საბჭოს წარედგინება.

არავისთვისაა საიდუმლო, რომ უნივერსიტეტში ვითარება არცთუ მშვიდია. ბოლო წლების განმავლობაში განვითარებულმა ცნობილმა მოვლენებმა (პროფესორ-მასწავლებლების მასობრივი დათხოვნები, სტუდენტური თვითმმართველობების წარმომადგენლებზე პოლიტიკური გავლენის მოპოვების მცდელობა, სახელფასო ფონდის უსამართლოდ გადანაწილების ბრალდება) ბუნებრივად გააჩინა ბევრი პრობლემა, რომელთა გადაჭრა, დიდწილად, სწორედ ამ დაწესებულების ადმინისტრაციის ეფექტურმა საქმიანობამ უნდა შეძლოს. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მომავალი არჩევნები უნივერსიტეტისთვის საეტაპო იქნება.

„ვერსია“ კონკურსში მონაწილე ერთ-ერთ კანდიდატს, **ნაირა ალავერდაშვილს** დაუკავშირდა.

დოსიე: დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი; არის საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროებში, კიბერუსაფრთხოების ბიუროში წამყვან თანამდებობებზე; 2010-2011 წელს იყო აგრარული უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის უფროსი; აქვს არასამთავრობო სექტორში მუშაობის დიდი გამოცდილება; 2012 წლიდან დღემდე, არის არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები საქართველოს რეგიონებში“ გამგეობის თავმჯდომარე.

„უნივერსიტეტი პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს ეკუთვნის. ადმინისტრაცია მხოლოდ დამხმარე ორგანო უნდა იყოს, რათა ურთიერთობა ამ ორ მხარეს შორის დინამიურად და კონსტრუქციულად მიმდინარეობდეს“, — მიაჩნია კანდიდატს.

როგორც ნაირა ალავერდაშვილი ამბობს, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტში დღეს არსებული პრობლემების საქმის კურსშია, თუმცა ამაზე ღიად საუბარი არ სურს და მიაჩნია, რომ მათი საფუძვლიანად შესწავლის გარეშე, რთულია ხელაღებით ვინმეს დადანაშაულება. მისი თქმით, მომავალში მსგავსი ვითარების თავიდან ასაცილებლად საჭიროა კომპეტენტური ადმინისტრაცია. სწორედ ამიტომ მიაჩნია მნიშვნელოვნად ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნები — უნივერსიტეტის ფინანსური ავტონომიურობის მიღწევა, ბიუჯეტის სამართლიანად განკარგვა ამ პრობლემებს, დიდწილად, მოაგვარებს.

კანდიდატი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საქმიანობის რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას გამოყოფს: ბიუჯეტის მართვა, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებთან მუდმივი კონტაქტი, დეცენტრალიზაციისკენ სვლა.

ნაირა ალავერდაშვილი: „უნივერსიტეტთან კავშირი არასოდეს გამიწყვეტია. დღემდე უნივერსიტეტელად მივიჩნევ თავს. იქ ბევრი ჩემი მეგობარი მუშაობს. მიცნობენ, როგორც მებრძოლ და პრინციპულ ადამიანს და შესანიშნავად იციან, რომ ჩემზე, გავლენის რაიმე კუთხით მოხდენა, წარმოუდგენელია. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსად ჩემი არჩევის შემთხვევაში ყველაფერს გავაკეთებ, რომ სასწავლებელმა ფინანსური ავტონომიის მიღწევა შეძლოს და თავად მოიზიდოს თავისუფალი სახსრები. უნივერსიტეტის ფინანსურ ავტონომიას განვიხილავ, როგორც საუნივერსიტეტო სივრცის ავტონომიურობის უტყუარ გარანტს, ხოლო საარჩევნო პერიოდს — როგორც პროცესს, გზას აღნიშნული მიზნისკენ. ამის მიღწევაში მნიშვნელოვანი როლი ადმინისტრაციასა და მის ხელმძღვანელს ენიჭება. სწორედ ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშაოს უნივერსიტეტის ბიუჯეტში თანხების მოზიდვის მექანიზმები, აქტიურად გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დაფინანსების არსებული წყაროების შესაძლებლობები. უნივერსიტეტში წარმოებულ თანამედროვე სამეცნიერო კვლევებსა და ინოვაციურ საქმიანობას უნდა განიხილავდეს, როგორც თანხების მოზიდვის საინტერესო მექანიზმსა და აუთვისებელ რესურსს“.

გარდა ამისა, ალავერდაშვილი აუცილებლად მიიჩნევს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის დაწყებას, რადგან დღემდე ასეთი დოკუმენტი არ არსებობს: **„მოდის ახალი ხელმძღვანელობა და ყველაფერს თავიდან იწყებს... ეს არ არის სწორი. უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმა და ნებისმიერმა საკადრო ცვლილებამ ამ მიზნისაკენ სვლა არ უნდა შეაფერხოს. ადმინისტრაციის უფროსად ჩემი არჩევის შემთხვევაში ამ დოკუმენტზე აუცილებლად დავიწყებთ მუშაობას. უნდა შეიქმნას მმართველობის სისტემა. ადმინისტრაციამ უნდა შეძლოს პრობლემათა იდენტიფიცირება, საერთო საუნივერსიტეტო სივრცის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავება“.**

ნაირა ალავერდაშვილი ერთ მნიშვნელოვან მომენტსაც გამოყოფს — თავად უნივერსიტეტში მაქსიმალური დეცენტრალიზაცია. **„ჩვენ დამოუკიდებლობა ძალიან გვიყვარს, მაგრამ ვერიდებით პასუხისმგებლობას. საჭიროა თავად უნივერსიტეტის შიგნით მოხდეს მაქსიმალური დეცენტრალიზაცია და ფაკულტეტებმა თავად გადაწყვიტონ ბევრი საკითხი“,** — ამბობს კანდიდატი.

რაც შეეხება სტუდენტებს. მათთან მუდმივი ურთიერთობა, ალავერდაშვილის თქმით, მხოლოდ სტუდენტურ თვითმმართველობასთან კონტაქტით არ უნდა შემოიფარგლოს. კანდიდატი აუცილებლად მიიჩნევს იმ სტუდენტებთან მუდმივი დიალოგის რეჟიმში ყოფნას, რომლებიც თვითმმართველობის წევრები არ არიან. **„ასე მეტად გავიგებ მათ პრობლემებს, მოვისმენ სტუდენტების აზრს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით... გარდა ამისა, ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლება, მეცნიერულ კვლევაში მათი მონაწილეობის უფლება, სასწავლო და სამეცნიერო პროცესის ნორმალური წარმოებისთვის სათანადო პირობების შექმნა. ამავე დროს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ადმინისტრაცია უნდა დაეხმაროს სტუდენტებს, რათა ისინი მეტად იყვნენ ჩართულნი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში; ასევე, ადმინისტრაციამ უნდა დაიცვას მათი უფლებები“,** — მიაჩნია ალავერდაშვილს.

გარდა ჩამოთვლილისა, ნაირა ალავერდაშვილი, კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, საკადრო პოლიტიკისა და უნივერსიტეტის თანამშრომელთა სოციალურად დაცვის კუთხით ინოვაციების დაგეგმვასაც გეგმავს.

როგორც უკვე ვთქვით, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო წარმომადგენლობით საბჭოს საკუთარ გადაწყვეტილებას კანდიდატის შესახებ ხუთ თებერვლამდე წარუდგენს. ეს კი ნიშნავს, რომ ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელი ვერ მიიღებს მონაწილეობას მომავალი წლის ბიუჯეტის შემუშავებასა და დამტკიცებაში და წინა ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად მოუწევს მოქმედება. **„ეს, რა თქმა უნდა, არასასურველია, მაგრამ ყველაფერი გამოსწორებადია. მთავარია, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ჰქონდეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, რათა ამ უმნიშვნელოვანეს თანამდებობას ღირსეულად გაართვას თავი. მე არ მეშინია. მზად ვარ გამოწვევის მისაღებად“,** — ამბობს **ნაირა ალავერდაშვილი.**

სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტები ქუჩის აქციებით იმუქრებიან

რა მიზნით გააყალბეს თვითმმართველობის არჩევნები სასწავლებელში და რატომ არ ინტერესდება რექტორი სტუდენტების პრობლემებით

ბაჩო ტურაშვილი
598-47-87-14

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები თვითმმართველობის არჩევნების გაყალბებას აპროტესტებენ და ახალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით, მეხუთე დღეა მჯდომარე აქციას მართავენ. სტუდენტები პროტესტს მანამდე განაგრძობენ, ვიდრე მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება. მეტიც, ახალგაზრდები არ გამორიცხავენ, რომ საპროტესტო აქციებიც დაიწყონ. სტუდენტური თვითმართველობის არჩევნები 10 დეკემბერს ჩატარდა. მას შემდეგ მათ არაერთხელ სცადეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და რექტორთან გასაუბრება, ასევე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან საერთო ენის გამონახვა, თუმცა ამბობენ, რომ არც ერთ მათგანს რეაგირება არ მოუხდენია.

„ვერსიასთან“ საუბრისას, აქციის მონაწილეები, აცხადებენ, რომ ჩატარებულ არჩევნებს ლეგიტიმურად არ სცნობენ. სტუდენტების პრობლემებით არ ინტერესდება მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი **მალხაზ აშორდია**, რომელიც ამ საპროტესტო აქციის მონაწილეთა დეკანია: **„ვერ დავინტერესდები ამ სტუდენტების პრობლემებით, რადგან ეს არ არის ჩემი საქმე და შესაბამისად, ვერ ჩავერევი მათი პრობლემების მოგვარებაში“.**

სოხუმის უნივერსიტეტის თვითმმართველობის ყოფილი თავმჯდომარე **ლექსო გოგოხია** აცხადებს, რომ სანამ მათი აქციები შედეგს არ გამოიღებს, პროტესტს არ შეწყვეტენ: **„თვითმმართველობის არჩევნებში ვმონაწილეობდი, როგორც კანდიდატი. არჩევნები თავიდანვე ხარვეზებით დაიწყო და ეჭვი გაგვიჩნდა, რომ გაყალბდებოდა. საარჩევნო კომისიამ კანდიდატების მხრიდან დამკვირვებელი არ დანიშნა, რაც გაყალბების ერთ-ერთი წინაპირობა იყო. ასევე, არჩევნები რამდენიმე წუთის დაგვიანებით დაიწყო — საარჩევნო უბანზე ყუთი არ მიიტანეს დროზე და არც კომისიის წარმომადგენლები მივიდნენ დროულად. არჩევნების დასრულებიდან რამდენიმე საათის შემდეგ დაასახელეს კანდიდატთა შედეგები, რაც რეალურ შედეგებთან წინააღმდეგობაში მოდის. მაგალითად, კომისიის მონაცემებით, მე 6 ხმა მივიღე, რაც არასწორია — ამას ამომრჩეველთა ხელმოწერებითაც ვამტკიცებ. ისინი გვერდით მიდგანან. არჩევნების შედეგად თვითმმართველობის დელეგატი რომ გახდე, მინიმუმ 9 ხმა უნდა მიიღო, მე კი ჯამში, 10 ხელმოწერა მაქვს. არჩევნები გაყალბდა მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერების ფაკულტეტზეც. ასე ისჯებიან სოხუმის უნივერსიტეტში განსხვავებული აზრის მქონე სტუდენტები. ეს, იმ სტუდენტების მიმართ ჩადენილი დანაშაულია, რომლებიც არ სცნობენ უნივერსიტეტის რექტორის, ჯონი აფაქიძის მმართველობის მეთოდს, არ ეთანხმებიან ადმინისტრაციას და არ იმართებიან სხვისგან. ეს ის სტუდენტები არიან, რომლებმაც დეკანის არჩევნებზე ღიად დააფიქსირეს პოზიცია. დღეს მათ ჩაგრავენ და დევნიან“.**

სოხუმის უნივერსიტეტის თვითმმართველობის ახალი თავმჯდომარე, **ფელიქს ხურცილავაც** აცხადებს, რომ არჩევნები გაყალბდა და საარჩევნო კომისიამ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ერთად, მისი თანამოაზრეები, მათ შორის ლექსო გოგოხია, თვითმმართველობას ჩამოაშორა: **„ჩემი თანამოაზრეების გამო გავიმარჯვე — ასე უნდოდათ, დაეწყნარებინათ დამარცხებული კანდიდატები. მართალია, 19 ხმა მივიღე, რაც ხმათა უმრავლესობა აღმოჩნდა, მაგრამ ხმები ისე გადაანაწილა საარჩევნო კომისიამ, რომ ჩემთან ერთად ჩემი თანამოაზრეებიც არ მოხვედრილიყვნენ თვითმმართველობაში. ეს ნიშნავს, რომ ვეღარაფერს გავაწყობ და გადაწყვეტილების მიღების საშუალება, მხოლოდ ჩვენს ოპონენტ დელეგატებს ექნებათ, ისინი კი, უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის მიმართ, ლოიალურები იქნებიან. ამას არ დავუშვებთ და არც ერთი ნაბიჯით არ დავიხევთ უკან! ეს კი ბოლო გაყალბება იქნება იმ ადამიანების მხრიდან, ვინც ეს შეუკვეთა. სტუდენტები ვპირდებით მათ, მალე გამოვააშკარავებთ და არავის მივცემთ უფლებას, სტუდენტები დაჩაგროს“.**

სტუდენტებთან ერთად არჩევნების შედეგებს აპროტესტებს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი **თემურ ჩილაჩავა, რომელიც „ვერსიასთან“** საუბრისას აღნიშნავს, რომ არჩევნებში ნამდვილად დაფიქსირდა სხვადასხვა ტიპის სერიოზული დარღვევა, რაც უტყუარი ცნობაა, რომ არჩევნები გაყალბდა. პროფესორი იმასაც აცხადებს, რომ სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი ჯონი აფაქიძე „ვადაგასულია“ — თანამდებობრივი საქმიანობის შესრულების ვადა უკვე ამოწურა, თუმცა იგი თავის პოზიციაზე მაინც რჩება. ჩილაჩავა ასევე საუბრობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გაუმართავ მუშაობაზე და სტუდენტებს თანადგომას უცხადებს: **„ვუცხადებ სტუდენტებს თანადგომას წამოწყებულ ბრძოლაში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას კი სურს ამ საპროტესტო ტალღის შეჩერება, მაგრამ ამას ვერ მოახერხებენ. მეც ამ ბავშვების გვერდით ვდგავარ. მინდა თავიანთი სიმართლე გაიტანონ. რაც შეეხება ჯონი აფაქიძეს და მალხაზ აშორდიას, ისინი ყურად არ იღებენ ამ სტუდენტების პრობლემებს და არც კი ესაუბრებიან მათ“.**

რექტორი და დეკანი სტუდენტების პრობლემებით არ ინტერესდებიან, არც ჟურნალისტის კითხვებს პასუხობენ. „ვერსია“ შეეცადა საარჩევნო კომისიაში გაერკვია, არის თუ არა შესაძლებელი, ხელახალი არჩევნები ჩატარდეს. სამწუხაროდ, მათთან დაკავშირება და ოფიციალური კომენტარის მოპოვება. შეუძლებელი გახდა;. სამაგიეროდ, შევიტყვეთ, მათი პოზიცია — უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია აცხადებს, რომ არჩევნები ფარული კენჭისყრით ჩატარდა და შედეგი არ გაუქმდება!

ადაპტირებულ სათამაშო მოედანს მეორადი ნივთებისგან ამზადებენ

„ეს არის ადგილი, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის ყოველი დღე მრავალფეროვანია“

ნათია დაუშვილი
599-85-09-43

„პირველი ნაბიჯი საქართველოს“ დღის ცენტრის სათამაშო მოედნის განახლებაში, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად, არაერთი მოხალისეა ჩართული. სათამაშო მოედანი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვისაა ადაპტირებული და აქ, სათამაშოებს, არც მეტი — არც ნაკლები, მეორადი ნივთებისგან ამზადებენ. ბოთლები, საბურავები, რკინის ნივთები, სამარშრუტო ტაქსის ფუტლარიც კი... მოხალისეები მოედნის გასაკეთებლად ისეთ ნივთებსაც იყენებენ, რომლებიც ჩვენ წარმოუდგენლად შეიძლება მოგვეჩვენოს. სამუშაოები, უამინდობის გამო, დროებით შეჩერებულია, მაგრამ... გაზაფხულზე, ბავშვებს ახალი მოედანი აუცილებლად ექნებათ. „ვერსია“ დღის ცენტრის პროგრამის კოორდინატორსა და იდეის ერთ-ერთ ავტორს, გიორგი დემეტრაშვილს ესაუბრა.

— როგორ გაჩნდა იდეა, მეორადი ნივთებისგან შეგექმნათ სათამაშო მოედანი?

— დღის ცენტრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვებს 2004 წლიდან ემსახურება. თბილისში, ამ კატეგორიის ბავშვებისთვის სხვა ასეთი ცენტრი არ არის. სათამაშო მოედანი განახლებას საჭიროებდა. თან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი ბავშვები შეიძლება, არ დაინტერესდნენ ჩვეულებრივი სათამაშოებით, რაც სხვა ბავშვებს მოსწონთ. ან, შესაძლებელია, მათ სხვანაირად, ჩვენთვის უჩვეულოდ ითამაშონ. მათ აქვთ გარკვეული სირთულეები სამყაროს აღქმასთან დაკავშირებით, ამიტომ გადავწყვიტეთ, ისეთი სათამაშოები გაგვეკეთებინა, რაც მოსწონთ. მსჯელობის შემდეგ მივედით დასკვნამდე, სათამაშო მოედანი ისეთი რაღაცებისგან გაგვეკეთებინა, რაც ყოველდღიურობაშია. ასეთი სათამაშოების გაკეთება მეორადი ნივთებისგან ნებისმიერ ადამიანს შეუძლია.

— მოხალისეები როგორ შეკრიბეთ?

— პირველი, რაც გავაკეთეთ, გამოვაცხადეთ ვაკანსია მოხალისეებზე. ისინი სტუდენტები არიან და გეგმა ჯერ კიდევ მაშინ გავაკანით, როცა ბოლომდე არც გვქონდა გააზრებული, რა უნდა გაგვეკეთებინა. სათამაშო მოედნის გაკეთების იდეა, მოხალისეებმა აიტაცეს. ამის შემდეგ, დავგეგმეთ, როგორი უნდა ყოფილიყო მოედანი, ინფორმაცია სხვადასხვა საიტებზეც მოვიძიეთ და ისიც კი აღმოვაჩინეთ, რომ მსგავს რამეს, საზღვარგარეთ აკეთებენ. დავიწყეთ ფიქრი, ჩვენ რა სათამაშოები გაგვეკეთებინა. გვინდა, დავამტკიცოთ, რომ ამ იდეის განხორციელება საქართველოშიც შეიძლება. მერე, ხარჯთაღრიცხვაც გავაკეთეთ და დღეს უკვე ვიცით, ვინმეს იგივეს გაკეთება გორში, ზუგდიდში ან სადმე სხვაგან რომ მოუნდეს, დაახლოებით, რა თანხა დასჭირდება.

— საჭირო თანხა სად მოიძიეთ?

— გვყავდა მოხალისეები, მაგრამ ფინანსური რესურსი არ გვქონდა. რაღაც შეიძლება უფასო იყოს ან იაფი, მაგრამ რაღაცას ფასი აუცილებლად აქვს. ელიავაზე ვნახე ადამიანები, რომლებიც დამპირდნენ, რომ საბურავებს უფასოდ მომცემდნენ, მაგრამ მათი ტრანსპორტირებისთვის ფულია საჭირო. პროექტი ინტერნეტსივრცეშიც განვათავსეთ და ხალხმა ჩვენი იდეის შესახებ შეიტყო. ერთ-ერთი ბანკის თანამშრომლები დაინტერესდნენ. გვითხრეს, რომ 4-5 სათამაშოს დაგვიფინანსებდნენ. ამან უკვე სტიმული მოგვცა. სკოლა ბაქსვუდის მოსწავლეებმა, ამ იდეის მხარდასაჭერად, მოაწყვეს აქცია ცარ წასჰ — მშობლებს გაურეცხეს მანქანები, ფული ააგროვეს და მოგვიტანეს. „ორბელიანის პლატფორმაც“ დაგვპირდა, რომ ორი სათამაშოს გაკეთებაში დაგვეხმარებოდა; ასევე გვყავს სხვა მხარდამჭერებიც, რომლებიც იდეის განხორციელებაში გვეხმარებიან. პროექტის დასრულების შემდეგ ჩვენი მხარდამჭერების შესახებ დეტალურ ინფორმაციას ჩვენს საიტსა და Facebook-გვერდზე განვათავსებთ.

— სათამაშო მოედნისთვის საჭირო მეორადი ნივთები საიდან მოგაქვთ?

— სხვადასხვა ადგილიდან... ჯართში ვიპოვეთ ერთი დიდი ავზის მუცელი, რომლითაც სათამაშო გავაკეთეთ; ელიავადან საბურავები წამოვიღეთ, თუმცა, იქაც იყო ხალხი, ვინც ამბობდა, უფასოდ არ გაგატანთ, თითოში თითო ლარი უნდა გადაიხადოთო. თუმცა, იყო ისეთი შემთხვევებიც, ადამიანები დაგვეხმარნენ და რაზეც გვეგონა, თანხის გადახდა დაგვჭირდებოდა, უფასოდ მოგვცეს — მაგალითად, რკინის მილის გადაღუნვა გვჭირდებოდა. როცა გაიგეს, რას ვაპირებდით, უფასოდ დაგვეხმარნენ. ყველაფერს მოხალისეები აკეთებენ. ჩვენ, მაქსიმუმ, ანაზღაურება გადავიხადოთ იმაში, რაც არ გვეხერხება, მაგალითად, რკინის კონსტრუქციის აწყობაში... თითოეული მოხალისე კონკრეტულ სათამაშოს კურირებს. იდეა ნამდვილად საინტერესოა. აუცილებლად ისეთი სათამაშოები უნდა გავაკეთოთ, რომლებიც შშმ ბავშვებს მოეწონებათ.

— სათამაშო მოედნის გარდა, მომავალში, მეორადი ნივთებისგან სხვა იდეების განხორციელებასაც ხომ არ აპირებთ?

— ჯერ ამაზე არ გვიფიქრია, ეს იდეა უნდა მივიყვანოთ ბოლომდე. მთავარია, ხალხში გავრცელდეს ინფორმაცია და ადამიანები მიხვდნენ, რომ მსგავსი რაღაცების გაკეთება შესაძლებელია. მომავალში, ამ მოედანზე, ისეთი რამის გაკეთებას ვაპირებთ, რაც ბავშვებს სხვადასხვა უნარის განვითარებაში დაეხმარება, რაღაცას ასწავლის. მაგალითად, ბარიერების გადალახვას ვასწავლით ბავშვებს, რომლებიც ეტლით გადაადგილდებიან, ან რომლებსაც სუსტი მხედველობა აქვთ. მობილობა-ორიენტაცია — კიდევ ერთი საკითხია, რომელსაც ბავშვებს ვასწავლით. მათ უნდა იცოდნენ სივრცეში გადაადგილება, რომ მაქსიმალურად დამოუკიდებლები იყვნენ. ბევრი ბავშვისთვის ეს არის ადგილი, სადაც ყოველი დღე მრავალფეროვანია. „პირველი ნაბიჯი საქართველოს“ დღის ცენტრი ისეა აწყობილი, ყოველი დღე სახალისო იყოს. კარგ ამინდში ბავშვები სულ გარეთ არიან, რადგან ფიზიკური განვითარება აუცილებელია. მერე რა, თუ ეტლით გადაადგილდებიან, უნდა განვითარდნენ, მაქსიმუმს მიაღწიონ და დაიჯერონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს.

შოტლანდიელი რეჟისორის ქართული კვირეული

ბენ შეროკის წარმატებული „პიკადერო“, ბასკური ცხოვრება და თბილისური ვოიაჟი

მაკა ლომაძე
555-27-95-13

არც ერთ საერთაშორისო ფესტივალზე, კულტურის არც ერთ სფეროში, მონაწილეები შემთხვევით არ ხვდებიან. ახლახან ჩავლილ კინოფესტივალზე „პრომეთე“, 100-ზე მეტი ფილმი აჩვენეს. ჩვენდა საამაყოდ, ნამდვილად ბრწყინავდა ქართული პანორამა. ტრადიციისამებრ, თბილისის მთავარი კინემატოგრაფიული ღონისძიება ქართულმა სურათმა გახსნა (ლევან თუთბერიძის „მოირა“) და დახურა (დიტო ცინცაძის „ბედნიერების ღმერთი“); ასევე ნაჩვენები იყო ოთარ იოსელიანის ახალი ფილმი „ზამთრის ზღაპარი“. ფესტივალზე არც 27 წლის ბრიტანელი რეჟისორისა და სცენარისტის, ბენ შეროკის მონაწილეობა იყო შემთხვევითი — მან საერთაშორისო პროგრამაში ბრიტანეთისა და ესპანეთის კო-პროდუქცია „პიკადერო“ წარმოადგინა. „ვერსია“ გთავაზობთ ინტერვიუს „პრომეთეს“ მონაწილეებს შორის ყველაზე ახალგაზრდა რეჟისორ ბენ შეროკთან, რომელმაც პირველივე ფილმით შეძლო საერთაშორისო რენომეს მოპოვება.

— ახალგაზრდა ასაკში უკვე საერთაშორისო ფესტივალზე მოხვდით. ეს თქვენი პირველი წარმატებაა საზღვარგარეთ?

— არა, ფილმმა ბევრი სხვა ფესტივალი მოიარა. პრემიერა სან-სებასტიანის კინოფესტივალზე შედგა. ბევრი ვიმოგზაურეთ. *(რესპოდენტმა, ალბათ, თავმდაბლობის გამო, არ დაასახელა პრიზები, თუმცა, როგორც გავარკვიეთ, მათი ჩამონათვალი საკმაოდ შთამბეჭდავია: „კიევის მოლოდისტ“ ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე „პიკადერო“ საუკეთესო მხატვრული ფილმის ტიტულის მფლობელი გახდა; ციურიხის ფილმების ფესტივალზე კრიტიკოსების რჩეულად დასახელდა; ტირანას საერთაშორისო ფორუმზე საუკეთესო რედაქტურისთვის აიღო პრიზი; სპეციალური ჯილდო, როგორც საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორმა ამ ფილმისთვის მოიპოვა მალიორკის ფესტივალზე; თბილისის გარდა, ფილმი აჩვენეს მუმბაიში, ასევე სან-პაულოსა და ბრაუნშვაიგის მსოფლიო კინოფესტივალებზე, — ავტ.).* ეს ჩემი კინოდებიუტია.

— რატომ დაარქვით ფილმს „პიკადერო“?

— პიკადერო ადგილია, სადაც ახალგაზრდები სიყვარულს ეძლევიან. გაჭირვება ხელს არ უშლის ერს გამრავლებაში. ის განკუთვნილია მათთვის, ვისაც ფული არ აქვს, სახლი იქირავოს. ამ შემთხვევაში, პიკადერო არის ერთგვარი ინსტრუმენტი ესპანეთის ეკონომიკური კრიზისის გადმოსაცემად. გარდა ამისა, ამ სიტყვის ჟღერადობაც მომწონს... ამიტომაც ავირჩიე — შინაარსიცა და ფორმაც ჩემთვის მისაღები იყო... მიხარია, რომ ამ ფილმმა საქართველოშიც ჩამოაღწია. წარმოშობით შოტლანდიელი ვარ; ედინბურგის უნივერსიტეტი დავამთავრე და სხვათა შორის, ედინბურგი ჰგავს კიდეც თბილისს – ორივე ისტორიული ქალაქია ძველი არქიტექტურით. ედინბურგიცა და გლაზგოც, შეიძლება, კულტურულ ცენტრებად ჩავთვალოთ. შოტლანდიას ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტები აქვს მსოფლიოში, ედინბურგი ასევე ცნობილია სამხატვრო სკოლით. აქვე ტარდება ცნობილი თეატრალური ფესტივალი, რომელიც მსოფლიოში უდიდესი მასშტაბისაა. გვაქვს კინოფესტივალიც... ზოგადად, შოტლანდიაში მაღალი დონის კულტურული პოტენციალია კონცენტრირებული.

— თეატრთანაც გაქვთ შეხება?

— მომავალში მინდა სპექტაკლებიც დავდგა. ჩემი მშობლები მსახიობები იყვნენ. ჰქონდათ თეატრალური კომპანიაც. შეიძლება ითქვას, თეატრში გავიზარდე. მშობლებს უყვარდათ სხვადასხვა ამბის მოყოლა, თანაც სხვადასხვა ინტერპრეტაციით, იუმორით... ალბათ ამან მომცა საზრდო და მიმახვედრა, როგორ იქმნება ესა თუ ის ისტორია. ბრიტანული იუმორიც მეხმარება.

— საქართველოს ერთი კვირით ესტუმრეთ. როგორი შთაბეჭდილებებით მიდიხართ?

— თბილისი ძალიან მომეწონა. ლამაზი ქალაქია. მომეწონა ქართული კერძებიც, ღვინოც. ფესტივალზე ვნახე კულტურული საზოგადოება, რომელსაც უყვარს კინო. ვესტუმრე გოგირდის აბანოებს. ბევრ კარგ ადგილას წაგვიყვანეს მონაწილეები. ვნახეთ სიღნაღი. ძალიან ლამაზი, პატარა ქალაქია. რომ ჩავედით თოვდა, რაც სასიამოვნო იყო. დავათვალიერეთ ფიროსმანის ნამუშევრებიც, რის გამოც ბედნიერი ვარ. გავიგე, რომ თქვენ და ბასკები ერთმანეთს ჰგავხართ, რამაც ძალიან დამაინტერესა.

— მით უმეტეს, რომ თქვენ ფილმში მოქმედება ბასკეთში ხდება...

— ნამდვილად... მე იქ ვცხოვრობ, მეგობარი გოგონა, რომელიც ფილმის პროდიუსერია, ბასკია. უკვე 3 წელია, იქ ვარ. ბასკებსაც უყვართ უხვი პურ-მარილი. ასევე, მათ მსგავსად, თქვენც ძალიან დაკავშირებული ხართ სოფელთან, მიწასთან. მსგავსება დავინახე თქვენს ცეკვებშიც.

— ქართული ფილმები ნახეთ?

— წელს ვერ მოვახერხე, მაგრამ შარშანდელ ჩემს ტოპ-სამეულში ნამდვილად შევიდა ლევან კოღუაშვილის ფილმი „შემთხვევითი პაემნები“. იმედი მაქვს, კიდევ ვნახავ ქართულ პროდუქციას, რომელიც ასევე მომეწონება. ამაღელვებელია, რომ ჩემი ფილმის წყალობით, ამდენ ქვეყანას ვეწვიე. მოგზაურობა ჩემთვის, როგორც მწერლისა და რეჟისორისთვის, უდიდესი რამ არის.

1. ფოთის ერთ-ერთი უბანი
2. ზევსის გამზრდელი თხა
3. მარ-ცვლოვან მცენარეთა ყვავილედი
4. ქალაქი დაღესტანში
5. გორ-გასალის სახელი
6. მთელი ეკიპაჟის მუშაობა გემზე
7. ყოფილი ბრაზილიე-ლი ფეხ-ბურთელი
8. ყველაზე დიდი რეპტილია
9. ყურძნის ევროპული ჯიში
10. უკუზო აქლემი
11. ბრა-ზილიელი ავტომრბო-ლელი
12. ინდონეზ. კუნძული
13. მიზანში მსროლელი
14. იზოლდას მიჯნური
15. მდინარე აზიაში
16. ყოფილი კამერუნელი მეკარე
17. თვალის ფერადი გარსი
18. ღმერთ იუპიტერს ერთ-ერთი ეპითეტი
19. ერთად თავმეყრილი ხალხი
20. ტბა თბილისთან
21. ჭადრაკის მფარველი ქალღმერთი
22. კურორტი ბულგარ-ეთში
23. გერმან. საუნივერ-სიტეტო ქალაქი
24. ძალის დაკარგვა, ძლიერ სისუსტე
25. უნგრეთის დედაქალაქ-ის ნაწილი
26. კოლუმბის ერთ-ერთი ხომალდი
27. მიწაში მცხოვრები ცხოველი
28. იგივეა, რაც მარ-იხუანა
29. ალპინისტის ფეხსაცმელი
30. ჯულიეტა მაზინას კინოროლი
31. ქალაქი ბელგიაში
32. ღმერთების ხელმწიფე ინდუიზმში
33. საწერი კალმების ცნობილი ფირმა
34. მოღალატე ბარათაშვი-ლის სახელი
35. ქა-ლაქგარეთ ჯგუფურად გასეირნება
36. დიდი ფრანგი მოქანდაკე
37. ქალაქი იმერეთის მხარეში
38. ფი-ლოსოფოს სოკრატეს ცოლი
39. მდინარე ესპანეთში
40. კომ-პოზიტორი ... კალმანი
41. უეცარი შიში
42. კუბის გვერდების გადაკვეთის ადგილი
43. სიმძიმეთა ასაწევი მექანიზმი
44. ნაგვის ყუთი
45. ტყის მცველი
46. იგივეა, რაც სარწ-მუნოება
47. მოკლე-ნიჩბიანი სპორტული ნავი
48. ყურით აღქმული ბგერა
49. მსახიობი აიშვარია ...
50. ამხანაგი სამსახურის, პროფე-სიის ან თა-ნამდებობის მიხედვით
51. ქალაქის თვითმმარ-თველობის ორგანო
52. ქრის-ტიანული დღესას-წაული, რომელიც 7 აპრილს აღინიშნება
53. დღეის წინა დღეს ანუ ...
54. დიეზის საპირისპი-რო ნიშანი
55. მუსი-კალ. გამის II ნოტი
56. ისტორი-ული მხარე სამხრეთ საქარ-თველოში
57. „ძე“-არაბულ გვარებში
58. საფქ-ვილე ყუთი წისქვილში
59. არხის ნაწილი, რომელსაც თავსა და ბოლოში წყალგაუმ-ტარი ტიხარი აქვს
60. ბეისბო-ლის მსგავსი რუმინული თამაში
61. „ტოიოტას“ მოდელი

კაცის ერთგულება წონას უკავშირდება

მამაკაცის სხეულის მასა პირდაპირპროპორციულია მისი ერთგულებისა, — ამტკიცებენ ამერიკელი სწავლულები. ამის მტკიცებულება კი ძლიერი სქესის 5 ათასი წარმომადგენელია, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ექსპერიმენტში. ასე რომ, გამოთქმა „კაცის გულისკენ მიმავალი გზა კუჭზე გადის“ — შეიძლება, ახლებურად გავიაზროთ. მეუღლის ღალატისგან თავის დასაცავად, მისი კარგად გამოკვება დაგჭირდებათ. ამერიკელების ფარტომასშტაბიან გამოკვლევაში 20-დან 27 წლამდე ასაკის მოხალისეები მონაწილეობდნენ. მათ დაახლოებით ნახევარს ჭარბი წონა ჰქონდა და სწორედ ამ ჯგუფში მუდმივი პარტნიორისადმი ღალატის პროცენტმა სულ 24% შეადგინა. სპორტული აღნაგობისა და გამხდარ მამაკაცებში კი ადიულტერისადმი მიდრეკილება 75%-მა გამოავლინა. ცოტა ხნით ადრე ბრიტანელმა სწავლულებმა კი დაადგინეს, რომ ერთგულება პირდაპირ კვშირშია მამაკაცის ინტელექტის დონესთან. მასვე უკავშირდება პოლიტიკური ვნება, რელიგიისადმი დამოკიდებულება და სექსუალური პოტენციაც.

ბაჯვენად წყალმცენარეებს ვვთავაზობენ

დედამიწაზე სიცოცხლე ოკეანეში გაჩნდა და დღემდე მას შეუძლია ადამიანისთვის ჯანმრთელობის წყარო იყოს, — აცხადებენ დანიელი სწავლულები და გვთავაზობენ, ჩვეულებრივი პროდუქტი, რომელთაც თითქმის ყოველდღე მივირთმევთ, წყალმცენარეებით გავამდიდროთ. ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დღეში 5-10 გრამი წყალმცენარე მაინც მიიღოს. მკვლევარების თქმით, პირველ რიგში, აუცილებელია დაფქვილი წყალმცენარეებით გავამდიდროთ თეთრი ფქვილი და ფასტფუდი: პიცა, ჰამბურგერი, მაკარონი, ფარში. ეს მარტივი ნაბიჯი, მეცნიერთა აზრით, საშუალებას მოგვცემს, შევამციროთ გულსისხლძარღვთა დაავადებების რისკი, ვებრძოლოთ დიაბეტსა და ზედმეტ წონას. წყალმცენარეები, ასევე, ხელს უწყობს ადამიანის აქტივობის ამაღლებას. ეს ყველაფერი კი წყალმცენარეებში ცილების, ანტიოქსიდანტების, უჯრედისისა და მიკროელემენტების არსებობის გამო ხდება.

პაცს პატარა გოგოდ ყოფნა მოსწონს

კანადელმა მამაკაცმა მიატოვა სახლი, მეუღლე და ბავშვები იმის გამო, რომ სურდა, ექვსი წლის გოგონას, სახელად სტეფანის სახით ეცხოვრა. ახლა მამაკაცი მოხუც ცოლ-ქმართან ცხოვრობს, რომლებიც მისი მშობლების როლს ასრულებენ. 52 წლის პაველ ვოლსკი ტორონტოდან მეუღლესა და შვილებთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ მოულოდნელად ცოლს გამოუტყდა, რომ პატარა გოგოდ ყოფნა სურდა. მთელი ცხოვრების მანძილზე მამაკაცი ქალის ტანსაცმელს იზომებდა და სარკის წინ თავს იწონებდა. მეუღლეს არასადროს მოსწონდა ქმრის ახირება და ერთხელაც, არჩევანის წინაშე დააყენა. ვოლსკის ტრანსსექსუალების ადგილობრივმა ასოციაციამ დაუჭირა მხარი და ისიც ოჯახიდან წამოვიდა. ვერ უარვყოფ, რომ ცოლიანი ვიყავი, შვილები მყავს, მაგრამ ახლა ყველაზე მეტად მინდა, პატარა გოგო ვიყო, რაშიც „ახალი“ მშობლები მეხმარებიან, — ამბობს პაველი. ის ფსიქოლოგთანაც დადიოდა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ვოლსკის სჭირდება გოგონად ყოფნის თერაპია — ჩაიცვას გოგოს კაბები, გაიკეთოს მაკიაჟი და ასე შემდეგ. ეს ხელს შეუწყობს, აღარ იფიქროს სუიციდზე.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲮᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4	3							5
			8	9		1		3
				4			8	
		2	4	3		7		
			6		7			
		7		5	2	6		
	7			6				
9		4		2	8			
8							5	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

			3	4				6
2		5			7	4		
4				5			2	
	8					6		5
			8		3			
9		6					8	
	5			8				3
		2	4			5		9
3				7	5			

ᲠᲗᲣᲚᲘ

	1		8	3	7	5		
			5				9	
		3					1	
6		4	9	1				2
		1				4		
8				4	5	6		1
	7					1		
	6				4			
		2	1	5	8		6	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	8			9	6	5	4	
		5						
4		9	5	3			6	
					7			
3			4	1	8			6
			3					
	6			7	9	1		8
						7		
	9	1	8	4			2	

კივი - ყველაზე სასარგებლო ხილი



კივის სასარგებლო თვისებებმა მკვლევართა მოლოდინს გადააჭარბა. იაპონელმა სწავლულებმა, გამოკვლევების შედეგების მიხედვით, ის ერთ-ერთ ყველაზე სასარგებლო ხილად დაასახელეს. ანტიოქსიდანტების რაოდენობის მიხედვით, კივიმ აჯობა ჯანსაღი კვების ისეთ „მონსტრებს“, როგორიც ფორთოხალი, გრეიპფრუტი, ვაშლი და მანდარინია. ტოკიოს უნივერსიტეტის სწავლულებმა საგულდაგულოდ შეისწავლეს კივის ორი ჯიშის — ყვითელისა და მწვანეს თვისებები და დაადგინეს, რომ პოლიფენოლები — ანტიოქსიდანტები, რასაც ეს ხილი შეიცავს, ფასდაუდებელ სარგებელს აძლევს ადამიანის ორგანიზმს. ექსპერიმენტისას მოხალისეები დღის განმავლობაში სამ კივის მიირთმევდნენ, რის შემდეგაც ბიოლოგები მათ ანტიოქსიდანტების დონეს უზომავდნენ. კივის შეუძლია აღკვეთოს ისეთი დაავადებების განვითარება, რაც დამჟანგავი პროცესებით არის გამოწვეული, — დაასკვნეს იაპონელმა მეცნიერებმა. როგორც ცნობილია, ეს პროცესი ორგანიზმის უჯრედებს შლის, ანტიოქსიდანტებს კი მასთან ბრძოლა შეუძლია. დამჟანგავი პროცესები ისეთი დაავადებების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მიიჩნევა, როგორიცაა ათეროსკლეროზი, გულის უკმარისობა, სიმსივნე, ნაადრევი დაბერება, ალცჰეიმერისა და პარკინსონის დაავადებები.

ევროპული „ოსკარები“ დაარიგეს

კინოხელოვნების ევროპულმა აკადემიამ წლის საუკეთესო ფილმი დაასახელა. ეს ტიტული იტალიელი რეჟისორის, პაოლო სორენტინოს ფილმმა „ახალგაზრდობამ“ დაიმსახურა. თავად სორენტინო კი წლის საუკეთესო რეჟისორის პრიზის მფლობელი გახდა. დაჯილდოების ცერემონია რამდენიმე დღის წინ ბერლინში გაიმართა. საუკეთესო მსახიობის წოდებაც ამავე ფილმში მთავარი როლის შემსრულებელს, მაიკლ კეინს ერგო. წლის საუკეთესო მსახიობ ქალად შარლოტა რემპლინგი დასახელდა სურათში „45 წელი“ შესრულებული მთავარი როლისთვის. ევროპული კინოაკადემია 1988 წელს, ბერლინში დაარსდა. მისი დამფუძნებლების ჩანაფიქრით, ის ამერიკული „ოსკარის“ ევროპული ანალოგია, რომელიც ევროპულ კინოში კინემატოგრაფიული მიღწევებისთვის გამოარჩევს საუკეთესოებს.

ამაყს ძძილეან აქზადეჭს

ბრიტანელმა ფერმერმა, რომელიც დასავლეთ დორსეტში ცხოვრობს, მსოფლიოში პირველად, რძეზე დამზადებული არაყი შექმნა. ჯეისონ ბარბერმა სასმელის წარმოება საკუთარ ფერმაში დაიწყო, სადაც დაახლოებით 250 ძროხა ჰყავს. ამ ალკოჰოლური სასმელისთვის ბარბერი რძის პროდუქტს, სპეციალურ საფუარსა და ზოგიერთ ინგრედიენტს იყენებს, რომელსაც არ ახმაურებს. სამჯერ გაფილტრული და ჩამოსხმული არაყი ადგილობრივი სუპერმარკეტების ქსელში იყიდება. მიუხედავად იმისა, რომ სპირტიან სასმელს რძის გემო საერთოდ არ ეტყობა, ის სასიამოვნო დასალევი აღმოჩნდა. ერთი ბოთლი ახალი არაყის ღირებულება, რომელსაც ავტორმა Black Cow Vodka უწოდა, დაახლოებით 26 გირვანქა სტერლინგია.

წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2	7	6	1	9	3	8	5	4
8	9	5	2	4	7	3	6	1
3	4	1	8	6	5	2	9	7
4	8	9	7	2	6	1	3	5
1	6	3	5	8	9	4	7	2
5	2	7	4	3	1	9	8	6
7	5	4	3	1	8	6	2	9
9	3	2	6	7	4	5	1	8
6	1	8	9	5	2	7	4	3

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

7	2	4	8	6	5	9	3	1
1	9	6	7	4	3	5	2	8
8	5	3	2	1	9	7	4	6
5	1	7	6	3	2	8	9	4
4	6	2	9	8	1	3	5	7
9	3	8	5	7	4	6	1	2
6	4	1	3	5	8	2	7	9
3	8	9	4	2	7	1	6	5
2	7	5	1	9	6	4	8	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	3	7	9	5	1	8	2	4
4	5	2	8	7	6	9	3	1
1	9	8	4	3	2	7	6	5
8	7	6	1	9	5	3	4	2
5	4	3	2	8	7	6	1	9
2	1	9	6	4	3	5	8	7
3	8	1	7	2	9	4	5	6
7	6	5	3	1	4	2	9	8
9	2	4	5	6	8	1	7	3

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4	8	6	9	1	7	5	3	2
7	5	3	4	2	8	9	1	6
1	2	9	5	6	3	8	7	4
8	9	1	6	7	5	4	2	3
3	7	2	1	9	4	6	8	5
6	4	5	8	3	2	7	9	1
2	6	4	7	8	1	3	5	9
5	1	8	3	4	9	2	6	7
9	3	7	2	5	6	1	4	8

მე-9 გვერდი: 1. იანვარი; 2. არქივი; 3. ვოიაჟი; 4. რომი; 5. კრაკოვი; 6. რაბინი; 7. კოზაკი; 8. ვანგა; 9. აქსიომა; 10. ოტომანი; 11. ემი; 12. ისინდი; 13. აბაზანა; 14. ამარეტო; 15. „ნაფარეული“; 16. კაა; 17. ეჟოვი; 18. „ჭრიჭინა“; 19. კანკანი; 20. რემა; 21. ანისული; 22. ანანდი; 23. სამიტი; 24. ბელგია; 25. ქიმია; 26. ფხა; 27. ვისკი; 28. ანა; 29. ბიგლი; 30. ლამარია; 31. ავრორა; 32. კურიე; 33. ჭონი; 34. ინდიანა; 35. კარაქი; 36. მუსი; 37. გემულა; 38. ესტაკადა; 39. იაკი; 40. ომი; 41. დესნა; 42. მინა; 43. ლომსია; 44. დუ; 45. რეი; 46. სე; 47. ლემა; 48. „აუდი“; 49. ლა; 50. ბიბისი; 51. ფოკუსი; 52. სულემა; 53. ნაი; 54. აიალა; 55. ილია; 56. ინია; 57. სამაია; 58. ანძა; 59. კიბე; 60. ჰიმალაი; 61. ჰელე; 62. ოლიფა; 63. ბის.

მე-10 გვერდი: 1. აპლომბი; 2. პლატინა; 3. ობერონი; 4. ბრიგი; 5. ბიშკეკი; 6. ისტერიკა; 7. კულონი; 8. კაჟი; 9. კამელია; 10. ნუდიზმი; 11. მურადა; 12. სოკერი; 13. სტელაჟი; 14. ალიკანტე; 15. აორტა; 16. დინგო; 17. ანარა; 18. ნუნუ; 19. სიმონია; 20. ილიონი; 21. რაეო; 22. ურგა; 23. ობელისკი; 24. ირავადი; 25. გოტიკა; 26. ინტინა; 27. რადა; 28. კორიდა; 29. „ოპტიმა“; 30. ესკულაპი; 31. იუტა; 32. როდეზია; 33. „პორშე“; 34. რილკე; 35. ნონა; 36. არა; 37. მნე; 38. ისარი; 39. ტოკატა; 40. ანი; 41. ანონა; 42. ადიდა; 43. მიტო; 44. აზია; 45. საბო; 46. ალამი; 47. ტვიდი; 48. ინა; 49. მოია; 50. ბალაგანი; 51. ძნა; 52. ალ; 53. ზრო; 54. ლიგა; 55. „სეატი“; 56. დედა; 57. ინტი; 58. აბაი;პ 59. სი; 60. კაასი; 61. ეტლი; 62. ელი; 63. კლიპი; 64. ობი; 65. ეტი.

მე-12 გვერდი: 1. ვერხვი; 2. ექსელი; 3. ხაბაზი; 4. პლევრა; 5. ლუქსემბურგი; 6. ვალაბი; 7. ასაბია; 8. იპრიტი; 9. ირბისი; 10. აქილია; 11. ლაურა; 12. აკრა; 13. ჰაჯი; 14. ელბა; 15. ყანა; 16. ალიზი; 17. მაიკო; 18. ანოა; 19. ტიკ-ჭორა; 20. გრიპი; 21. უბე; 22. ნასა; 23. იტილი; 24. მუზა; 25. ირაო; 26. ზნე; 27. სიტრო; 28. მეტროპოლიტენ-ოპერა; 29. ზიზია; 30. ნაურუ; 31. „კია“; 32. „ნაიკი“; 33. ოპტიკა; 34. კლიო; 35. აშხაბადი; 36. რუმინეთი; 37. ლიდერი; 38. კალორია; 39. ტუზი; 40. პრადო; 41. სირ; 42. რძე; 43. „ლოლიტა“; 44. კროუ; 45. ოტური; 46. მაკენზი; 47. პია; 48. რიგა; 49. შაური; 50. ოლეგი; 51. იზლერი; 52. ინრო; 53. სტილეტი; 54. მადამ; 55. ალო; 56. ლოჟა; 57. აბი; 58. მორი; 59. ოჟიო; 60. კრიტიკა; 61. დათა; 62. ნარი; 63. „ატმორი“; 64. აზანი; 65. პანდა; 66. ლასო; 67. ორსე; 68. სტოპ; 69. მოა; 70. ორტა; 71. ბის; 72. ალოპეცია; 73. ტირისკონი; 74. რუ; 75. ტარა; 76. ნესტორი; 77. აპია; 78. რა; 79. ტროა; 80. ბუ; 81. დღე; 82. ოდინი; 83. სუ; 84. იარა; 85. კატარი; 86. ქამუშაძე.

1. პოლიგრაფიული საწარმოს ქაღალდის ნარჩენები
2. სქელი უძირო წინდა
3. დაბალზამებული გვამი
4. შოტლანდიელ მამაკაცთა ეროვნული სამოსი
5. საფრანგეთის უგრძესი მდინარე
6. მდინარე ჩოხატაურში, სუფსის შენაკადი
7. წვიმის ლაბადის ნაირსახეობა
8. დედალი ვირი
9. მოზაიკის ფერადი ქვა
10. ყოფილი კუნძული მდინარე მტკვარზე
11. რევაზ ლაღიძის ოპერა
12. შებოლილი ღორის ხორცი
13. ქალაქი თურქეთში
14. უდიდესი სიზუსტე მათემატიკაში
15. ამერიკელი მსახიობი ... რასელი
16. მართკუთხა სამკუთხედის გვერდი
17. მოქანდაკე ... კლოდელი
18. ანტიკური კავალერია
19. შლამის თევზი
20. დაცული ტერიტორია
21. სოიას ხაჭო იაპონიაში
22. ხეკაკუნა ფრინველი
23. მატყლის ქსოვილი
24. ხერხემლის ძვალი
25. ორგანიზმში მოძრავი გამშვირვალე სითხე
26. ესპანეთის ყოფილი სამეფო
27. არაბული ფლეიტა
28. სასუფრე ყურძნის ჯიში
29. ფეხბურთის სახელწოდება იტალიაში
30. ვიეტნამური სახორცე ჯიშის ქათამი
31. ძველებური ესპანური ხალხური ცეკვა
32. სოფელი წალენჯიხის რაიონში
33. ვ. ცოის როკ-ჯგუფი
34. ჭაობის მცენარე
35. სუტ-კნიენას სახელი „კაცია-ადამიანმ!?“
36. მეტყველების ნაწილი გრამატიკაში
37. დაბრუნელი ტყე
38. თევზის წვნიანი
39. ნათელი, რომელიც თავს ადგია წმინდანებს
40. გადაბრუნებული ბერძნული ასო დელტა
41. ორგანიზაციების გაერთიანება
42. ტანვარჯიშულ-აკრობატული ვარჯიში-ჩავდომა ბოლომდე გაშლილი ფეხებით
43. დედისადმი მიმართვა გურიაში
44. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
45. ჭაბუკთა დალოც. ცერემ. პირველყოფილ საზოგადოებაში
46. ხელოსნის სახელი ფილმ „ქვევრში“
47. მდინარე აფხაზეთში
48. დიდი გერმანელი კომპოზიტორი
49. დღევანდელი დღის მომდევნო დღეს ანუ ...
50. ბინძური თავლების პატრონი
51. ხარეთა თანასწ. პრინციპი კონფლიქტის გარჩევისას
52. ბიჭი, რომელიც გემზე ემზადება მატროსად და სწავლობს ზღვაოსნობას
53. თბილისის ერთ-ერთი უბანი
54. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი
55. მწყემსის მოსასხამი
56. ალადინის მიმუნი
57. ზრდილობიანი დასტური
58. „რეალის“ ექსკაპიტანი
59. მიცემითი ბრუნვა
60. წამოძახილი ბანქოს ზოგიერთ თამაშში
61. წინსართი, აღნიშნავს „ახალს“
62. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
63. ქართული ფილმი-ზღაპარი
64. „სამხედრო ფერი“
65. იგივეა, რაც დიაპოზიტივი
66. რუმინული ხალხური სიმღერა
67. მწერალი ... მორჩილაძე
68. მაროკოს დედაქალაქი
69. კავკასიის მთიელთა სოფელი
70. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
71. ძვ. ქართული სიგრძის საზომი
72. ბრილიანტის „წინაპარი“
73. ოსტატობის ხარისხი ძიუდოში
74. თმის მცენარეული საღებავი
75. ვერცხლისფერ-ფოთლებიანი დაბალი ხე
76. პირველი კოსმონავტი ქალი
77. ჩინეთის ავტონომიური ერთეული
78. სამხედრო ნადავლი
79. მუსიკალური გამის VII ნოტი
80. მსუბუქი დაცინვა
81. მამალი კვიცი
82. მიმდინარეობა მუსიკაში
83. იგივეა, რაც წლოვანება
84. ნიკოლოზ ბარათაშვილის შინაურული სახელი

პოპულარული სერიალი ბრუნდება

გაისად სიურპრიზი ელის პოპულარული სერიალის — „გაქცევის“ მოყვარულებს. გაზაფხულზე ის ახალი სეზონით დაბრუნდება ტელეეკრანებზე. ამ ინფორმაციას ადასტურებს ასევე ტელეკომპანია „ფოქსიც“. მისი წარმომადგენლების განცხადებით, „გაქცევის“ ახალი სეზონის პრემიერას ტელეკომპანიის იუბილეს დაამთხვევენ. რაც შეეხება სერიალის მთავარ გმირებს, მსახიობებს ვენთუორთ მილერსა და დონიმიკ პარსელს, ფილმის რეჟისორები ირწმუნებიან, რომ ორივე მათგანი ახალ სეზონშიც მთავარი გმირი იქნება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.